№ 119 სამშაბათი, 2 ივნისი 1909 წ. № 119

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... დიდ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ნახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ... ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა ... 10 საათიდან ... დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.**

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

---

სამშაბათს, 2 ივნისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## დავით ბესარიონის ძის ლოლობერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი მისი **მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა** და ძმა **ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე.** დასაწყისი წირვისა 10 საათზე, პანაშვიდისა 12 საათზე. (2—277—2)

---

**ზაქარია, ანტონი და ნიკოლოზ ივანეს ძენი არჯევანიძენი** დებითურთ და რძლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძვირფას დეიდის

## ნინო ზაქარია ძამაცოევის ასულისას.

გვამის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 3 თიბათვეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დილის 9 საათზე. პანაშვიდი 2 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე. (1—280—1)

---

## ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 8 ივნისს ამა წლისა დღის 12 საათზედ ქ. ქუთაისში საბჭოს სადგომში მოხდება ვაჭრობა პატარა ჭიქაურში **მდინარე ყვირილაზედ ქვის ბურჯიან ხის ხიდის იჯარით გაკეთების შესახებ.** ხიდის სიგრძე იქნება 27,00 საჟ., ხოლო სიგანე 2,70 საჟ. ფასი დანიშნულია 8706 მან. და 90 კ. ზედ. უნდა წარმოდგენილ იქმნას საიჯარო ფასის 5% ვაჭრობის დაწყების წინ.

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება საბჭოს კანცელიარიაში ქ. ქუთაისში და აგრეთვე საბჭოს სატეხნიკო განყოფილების ბიუროში ჭიათურაში. ვაჭრობა უნდა დამტკიცებულ იქმნეს საბჭოს მიერ. (3—6.—1)

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

ხუთშაბათს, 4 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## სულელი

პიესა 4 მოქმ. ფულდისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 13 ივნისს. მზადდება წარმოსადგენად **„ქოჩრიანი ტოროლა“.**

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის** ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

---

**იბეჭდება და მალე დაურიგდება ხელის მომწერლებს**

## დუტუ მეგრელის ნაწერების

## პირველი წიგნი—ლექსები,

რომელშიაც მოთავსებული იქნება 200-ზე მეტი ლექსი და ხამი პოემა.

ხელის მოწერა, როგორც ამ წიგნზე, ისე დუტუ მეგრელის მოთხრობებზე კვლავ მიიღება ამ ივნისის 25-მდის; შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. ხელის მოწერით ორივე წიგნი ეღირება ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი შესამჩნევად იქნება გადიდებული.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიაში, მაღაზია „ახალ სიტყვაში“ („Новая рѣчь“), „დროების“ რედაქციაში და ქუთაისში ბ-ნთ თომა მთავრიშვილის და ის. კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში. პროვინციიდან ხელის მომწერთა სია და ფული უნდა გამოგზავნოს „დროების“ რედაქციაში, საიდანაც მსურველთ შეუძლიათ დაიბარონ აგრეთვე ხელმოსაწერი საკვიტანციო წიგნაკები. (6—2)

---

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. მოთხოვნა გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოტრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (6—586—158)

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ზედგენიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 76)

---

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი**

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბრონზის ქუჩა, N 11. (75—91)

---

**ექიმი მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

---

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. პიროვნი, N 9. (უ)

---

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. მეჯლის, ...ქუჩა N 25. (უ)

---

**„ნაკადულის“ რედაქციისაგან.**

ტფილისის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ჟურნალის ფული აღარ გადასცენ რუს დამტარებელს. (3—3)

---

**ექიმი მ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოზით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

---

## ბაღი—რესტორანი

## ამხ—ბის „იუჟანკ“-სი

სახასლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია. (10—გაჯ.—6)

---

## სოფ. ქვიშხეთში

**ქირავდება**

## აგარაკი ჩიტაძისა

აგარაკი ახალია და შეიცავს ხუთ მშვენიერ ოთახს, სალ ადგილზეა. აგარაკი ქირავდება ძალიან იაფად. მსურველმა უნდა მიმართოს პ. სურგულაძეს, ქართულ გიმნაზიაში, ვერაზე. (5—3)

---

## იყიდება

იაფად **საგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 დესეტინა და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყეთა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—1)

---

**ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი**

ამით აუწყებს, რომ თავ.-აზნაურთა გუბერნიის ჩვეულებრივი კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო პირველ ამა ივნისს, თ ვად აზნაურთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობისა გამო,

## გადაიდო 2 ივნისისათვის.

სხდომა დაიწყება სწორედ 12 საათზე, რამდენიც თავადი და აზნაურიც უნდა გამოცხადდეს. (1—6.—1)

---

## ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—7)

---

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან მოსულ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფელდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერა.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**მ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—73)


## ტფილისი, 2 ივნისი

უფერულად და უშინაარსოდ მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება, ისევ ისე უფერულად, როგორც ამ ოცი წლის წინად. თითქო ჩვენს თავზე ქარიშხალს არ გადაევლოს, თითქო ყველაფერი, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა ჩვენში და მთელს რუსეთში, სინამდვილე კი არ იყო, არამედ სიზმარი. ვნახეთ საკვირველი სიზმარი ხალხისა და საზოგადოების დიადის აღფრთოვანებისა, ბრძოლისა, გამოვიღვიძეთ და ისევ იმ სინამდვილეში ამოვყავით თავი, რომელშიაც ვიყავით; დიდებულმა ხანამ არაფერი არ მოგვცა, არაფერი არ გვასწავლა.

როგორ მოხდა ეს, როგორ მოხდა, რომ დიდებულმა ისტორიულმა მოვლენამ არაფერი არ დაგვიტოვა, ვერავითარი გავლენა ვერ იქონია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე? გვეტყვიან, ჩვენშიაც ის მოხდა, რაც მთელს რუსეთშიო, რომ განმანთავისუფლებელ მოძრაობის რეალური პოლიტიკური შედეგი ერთი და იგივეა ყველასათვისო, ყველგან უფერულად და უშინაარსოდ მიმდინარეობს ცხოვრება, ყველგან ჰსუფევს სასოწარკვეთილება, ყველგან წინანდელ კალაპოტში ჩადგა საზოგადოებრივი ცხოვრებაო. მაგრამ, ეს მართალი არ იქნება. რასაკვირველია, პოლიტიკური შედეგი ერთია იმ მხრით, რომ მოსალოდნელი განახლება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებისა არ დაგვიდგა, ის არ განხორციელდა, რასაც მოველოდით და რისთვისაც ვიბრძოდით. ჩვენ ამაზედაც ვლაპარაკობთ; ჩვენ ვლაპარაკობთ სულ სხვა შედეგზე, რომელსაც ყველგან აქვს ადგილი და რომლის მნიშვნელობა უკვე დაფასებულია ღირსეულად.

გავლილმა ქარიშხალმა რუსებსაც, პოლონელებსაც, სხვებსაც ბევრ რამეზე აუხილა თვალები და შემოქმედებითი მუშაობა დააწყებინა იმ ნაკლის გასასწორებლად, რომელმაც თავი იჩინა მოძრაობის დროს. დაიწყო შეფასება წინანდელი პოლიტიკურ აზროვნებისა, ტაქტიკისა და თანაც დაიწყო დიდი პრაქტიკული მუშაობა კულტურულ ნიადაგზე. ეს ფაქტია, რომლის არსებობას უარს ვერავინ ჰყოფს, ვინც აკვირდება რუსეთის ახლანდელ ცხოვრებას. თავი დავანებოთ წმინდა თეორიულ მუშაობას, ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ პრაქტიკულ მოღვაწეობას და ჩვენ შევამჩნევთ, რომ ყველგან საზოგადოებრივი მუშაობა ის აღარ არის, რაც წინად იყო. საზოგადოება, მისი მოწინავე ინტელიგენცია და თვით ხალხი ჰხედავენ იმ მთავარ მიზეზებს, რომელთაც დააბრკოლეს განმანთავისუფლებელი მოძრაობა, და შეუდგნენ დიად მუშაობას.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რაში მდგომარეობს ეს მუშაობა და არა ერთხელ მოგვიყვანია ამის დამამტკიცებელი ნიმუშები, მაგალითები. რუსებისა და პოლონელების მაგალითს ეხლა შეგვიძლია ჩვენი მეზობლების —სომხების მაგალითიც მივუმატოთ და აღვნიშნოთ, რომ ამათაც აიღეს ალღო და იმავე მიმართულებას აძლევენ თავის შინაურ მუშაობას: ხალხისათვის კულტურული მუშაობა, მისი გონებრივი განვითარება, მისი ეკონომიური გაღონიერება და თან შეკავშირება. ჩვენ ვხედავთ, რომ სომხებიც შეუდგნენ ამ დიდ კულტურულ მუშაობას: აარსებენ საზოგადოებათ და წრეებს ხალხში ცოდნის გასავრცელებლად, დაეწაფნენ კოოპერატიულ ორგანიზაციების შექმნას სოფლად და ქალაქად, ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო მრეწველობის განვითარებას და სხვა.

რა მნიშვნელობა აქვს ამ მოძრაობას, ამ მუშაობას, ამაზე ბევრჯელ გვილაპარაკნია და თავის-თავადაც ცხადია. განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ გამოამჟღავნა არა მარტო პარტიების და მეთაურთა შეცდომები, არამედ ხალხის მოუმზადებლობაც, დაქსაქსვა და სისუსტე. თვით ხალხმა იგრძნო ეს და თვითონ შეუდგა თავის უმეცრებასა და მოუმზადებლობასთან ბრძოლას. რუსთა მუშები და გლეხობაც ხარბად დაეწაფნენ სწავლას, აარსებენ თავისავე ინიციატივით განმანათლებელ დაწესებულებათ, სხვა და სხვა კოოპერაციებს შესაერთებლად და გასაღონიერებლად. ინტელიგენციაც მხნედ ეხმარება მიუხედავად ათას-გვარ დამაბრკოლებელ მიზეზისა და გარემოებისა...

აი, ამ შედეგს განვლილ ქარიშხალისას ვერ ვხედავთ ჩვენში, ან ვხედავთ ისეთ მკრთალსა და უფერულს, რომ მაზე ლაპარაკიც არა ღირს. ბევრი ვილაპარაკეთ და ვწერეთ კიდეც „კულტურულ მუშაობაზე“, მაგრამ თვით მუშაობა არსადა სჩანს. ჩვენში უფრო მეტ მნიშვნელობას ნიშნის მიგებას აძლევენ. ის ელემენტები, რომელთაც უფრო შემშვენოდათ ხსენებული მოღვაწეობა, ჯერ კიდევ უახრო ბრძოლას განაგრძობენ პარტიების წინააღმდეგ: სოციალისტებმა დაგვღუპესო, გაუბამთ დაუსრულებელი განგაში, მაგრამ ხელსაც არ ანძრევენ იმ შემოქმედებით მუშაობისათვის, რომლის მქადაგებელნი არიან ვითომ... დადგა ზაფხული, ის დრო, როცა სხვა და სხვა კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებანი ანგარიშს იძლევიან თავის მოქმედებისას. მიმოიხედეთ და ყური დაუგდეთ, რით არის სულდგმული ჩვენი ინტელიგენცია, რით არის დღეს გატაცებული. ისევ, როგორც ამ ოცი წლის წინად, მთავარი ინტერესი ბანკების და თავად-აზნაურობის კრებაზეა მიპყრობილი. მის პრესაში სოციალისტების დაუსრულებელი კრიტიკა და გინება, მის პრაქტიკაში კი ისევ ბანკი და თავად-აზნაურობა... უფერულად და უშინაარსოთ მიმდინარეობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ყველანი წინ გვისწრებენ და უძლურებით შეპყრობილნი ვდგევართ ერთ ალაგას, როცა ხალხს შველა უნდა, როცა ხალხი დიდსა და ყოველგვარს განსაცდელში.


**მარგანეცის მრეწველთა შავი-ქვის ამხანაგობის გამგეობა**

იწვევს ამ ამხანაგობის წევრებს, თანახმად ამხანაგობის წესდების მე-25, 26 და 27 მუხლისა, **საზოგადო კრებაზე,** რომელიც მოხდება ს. ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, ოთხშაბათს, 10 ივნისს, ამა წელს.

**განსახილველი საგნები:**

1. ამხანაგობის დამფუძნებლებთან მოსპობა ბერლინის მანგან სინდიკატთან.
2. ამხანაგთა შორის საურთიერთო ანგარიშის გამორკვევა.
3. ამხანაგობის ქონების დანაწილება.

რადგან 27 მაისისათვის, თანახმად ამხანაგობის წესდების მე-24 მუხლისა, კრება არ შესდგა, ამისათვის ეს კრება თანახმად იმავე წესდების მე-25, 26 და 27 მუხლისა, კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა შეიკრიბოს. (3—6.—1)

---

**ექიმი**

## ა. ნ. დიასამიძე

გადავიდა ახალ სადგომში მოსკოვის ქუჩა, № 4, გაბაშვილის სახლი.

---

სამშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 8 საათზე ტფ. თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს სადგომში მოხდება **საზოგადო კრება**

## „ახალი კლუბის“

წევრებისა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ახალ წევრთა მიღება.
2. კლუბის ბინის შესახებ და
3. არჩევნები ახალ საბჭოს წევრებისა, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

თუ წევრთა კანონიერი რიცხვი არ დაესწრო, კრება გადაიდება 9 ივნისისათვის, რომელიც ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. (3—6.—3)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მაისის სხდომა სათათბირომ მთლად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეტანილ კანონ-პროექტს მოანდომა. ეს კანონ-პროექტი შეეხება ცხრა ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიაში სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნების გადადებას. კანონ-პროექტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ იგი ერთხელ კიდევ ააშკარავებს მთავრობის პოლიტიკას.

საკითხი ხსენებულ გუბერნიებში არჩევნების გადადების შესახებ უკიდურესმა მემარჯვენეებმა აღძრეს სახელმწიფო საბჭოში და მთავრობაც დიდის სიამოვნებით მიეგება. როგორც სტოლიპინმა განაცხადა, თითონ მთავრობასვე ნდომებია ამ საკითხის აღძვრა.

საქმე აი რაშია. ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიებში (სულ ცხრა გუბერნიაა) სახელმწიფო საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ სულ პოლონელები. როგორც ვიცით სახელმწიფო საბჭოს არჩევნების წესი იმნაირია, რომ თუ არ მსხვილი მემამულე, სხვის არჩევა შეუძლებელია. ამ არჩევნების წესის წყალობით, ხსენებულ ცხრა გუბერნიაში სულ პოლონელები გავიდნენ, რადგან მსხვილი მემამულენი ისინი არიან, თუმცა რუსობა (ბელორუსები) ბლომადა სცხოვრობს ამ გუბერნიებში. ეხლა მთავრობა და მემარჯვენენი ამბობენ—ეს უსამართლობაა, მცხოვრებთა უმრავლესობას რუსები შეადგენენ, წარმომადგენლებად კი სახელმწიფო საბჭოში სულ პოლონელები არიან, ამიტომ საარჩევნო წესი ამ გუბერნიებში უნდა შეიცვალოსო. კაცს ეგონება, რუსის მთავრობა მართლა სიმართლის მოყვარე და დამცველიაო. მაგრამ ამ ვითომდა სიმართლეს მთავრობა იქ იცავს, სადაც მისთვის სარფაა, ხოლო არა რუსთათვის კი საზარალო. გაიხსენეთ თუნდა დეპუტატთა არჩევნების წესი კავკასიასა და პოლონეთში. კავკასიაში ერთი მუჭა რუსობა ცალკე დეპუტატს ირჩევს და ამავე დროს შვიდი მილიონი ქართველობა, თათრობა და სომხობა—ხუთ თუ ექვს დეპუტატს. აქ მთავრობას სიმართლე, რასაკვირველია, არ აგონდება.

ამრიგად, მთავრობას უნდა ხსენებულ ცხრა გუბერნიაში შესცვალოს არჩევნების წესი, რომ პოლონელები მთლად გათიშოს. მაგრამ აქ ერთი სხვა გარემოება გამოერია: საარჩევნო წესის შეცვლას დრო უნდა, ხოლო სახელმწიფო საბჭოს წევრებს ვადა გასდით და წელს ახალი არჩევნები უნდა მოხდეს. თუ ძველ წესზე მოხდა არჩევნები, მაშინ შეიძლება ისევ ძველი წევრები გავიდნენ და ამრიგად ისინი ახალ არჩევნებამდე დარჩებიან. ამის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ ასეთი ხერხი იხმარა: შეადგინა კანონ-პროექტი, რომლითაც არჩევნები ხსენებულ ცხრა გუბერნიაში უნდა გადაიდოს იმ დრომდე, (დაახლოვებით ერთი წლით), სანამ საკანონმდებლო დაწესებულებანი ახალ საარჩევნო კანონს მიიღებენ.

აი ეს კანონ-პროექტი განიხილა სათათბირომ 30 მაისს. კომისიას უარუყვია ეს კანონ-პროექტი. კომისიის აზრით, ჯერ ერთი არჩევნების შეჩერება უკანონობაა და, მეორე ახალ საარჩევნო კანონის შემუშავება სულ არ არის საჭირო; საჭიროა მხოლოდ საერობო დაწესებულებების შემოღება სადაო ცხრა გუბერნიაში და მაშინ არჩევნების შედეგიც სულ შეიცვლებაო.

კანონ-პროექტის წინააღმდეგნი იყვნენ ოქტომბრისტები და მთელი ოპოზიცია. ამ რიგად კანონ-პროექტის მიღება შეუძლებელი იყო. ალბად ამიტომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა სხვა საშუალებას მიჰმართა. მან თავის სიტყვაში განაცხადა: მთავრობას განზრახვა აქვს, შემოდგომაზე შემოიტანოს კანონ-პროექტი ერობის შემოღების შესახებ ხსენებულ ცხრა-გუბერნიაში. ამ გუბერნიებში უნდა შემოღებულ იქმნას ცვლილებით ან არსებული დებულება საერობო დაწესებულებათაო.

ამ განცხადებამ ძირიანად შესცვალა ოქტომბრისტების აზრი. მათმა ორატორმა ფრაქციის სახელით განაცხადა, ფრაქცია სავსებით ეთანხმება მთავრობას, მხოლოდ საჭიროდ მიაჩნია არჩევნები არ გადაიდოს; ხსენებულ ცხრა გუბერნიაში არჩევნები უნდა მოხდეს, მაგრამ არჩეულები საბჭოს წევრებად იქნებიან ერთ წლიწადს, ესე იგი სანამ მთავრობა შეიმუშავებს კანონ-პროექტს ხსენებულ ცხრა გუბერნიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

არსებითი განსხვავება მთავრობისა და ოქტომბრისტებს შორის მცირეა, ამიტომ სტოლიპინმა მყისვე თანხმობა განაცხადა ოქტომბრისტების წინადადებაზე.

სხვათა შორის სიტყვები წარმოსთქვეს პოლონელებმა ჟუკოვსკიმ,

დიშამ და სვენციცკიმ. მათ აღნიშნეს ის უსამართლობა, რომელსაც პოლონელების წინააღმდეგ მთავრობა ხმარობს. სთქვეს ისიც, რომ პოლონელების გასადევნად მთავრობა არ ერიდება კანონსა და კონსტიტუციის დარღვევასაო.

მემარჯვენენი როგორც ყოველთვის, მხარს უჭერდნენ მთავრობის პროექტს. ოპოზიციიდან ილაპარაკა როდიჩევმა, ჩხეიძემ და სხვებმა.

ზომიერი მემარჯვენენი შეუერთდნენ ოქტომბრისტების წინადადებას.

ბოლოს სათათბირომ ხმის უმეტესობით მიიღო კანონ-პროექტი და ოქტომბრისტების წინადადება.

მეორე დღეს, 31 მაისსაც ჰქონდა სხდომა სათათბიროს. ამ დღეს მიიღო წვრილი კანონ-პროექტები. სხვათა შორის დონის ყაზახების სასარგებლოდ გადასდეს მილიონ-ნახევარი მანეთი. მთავრობას ამ რამდენიმე წლის წინად დონის ყაზახთა მიწები გროშის ფასად კერძო კაცებისათვის მიუცია იჯარით ცხენების მოსაშენებლად. ამით ზარალი მოუვიდათ ყაზახებს და ეხლა უნდა ზარალი აუნაზღაუროთო, განაცხადა იმ მთავრობამ, რომელმაც ზარალი მიაყენა ყაზახებს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მაისი

### მიწის-ძვრა

**პარიზი**. 29 მაისს, საღამოს 9 საათსა და 15 წუთზე, მარსელსა და მის მიდამოებში ძლიერი მიწის-ძვრა მოხდა. მიწის-ძვრა 4 წამს გაგრძელდა. ქალაქის მცხოვრებნი ისე შეშინდნენ, რომ სახლები მიატოვეს და ქალაქის მოედნებისკენ გაიქცნენ. ზოგიერთ ადგილას საათები აღარ მუშაობდა. მეორედ მიწა იძრა საღამოს 9 საათსა და 46 წუთზე. დაზიანდა რამდენიმე შენობა. ამავე დროს მიწა იძრა ავინიონსა, პერპინიანსა, სეტსა, ნიცასა, ტულონსა, კანასა, მომპელიესა და ბეზიეში.

**მარსელი**. დაინგრა ობსერვატორია. ერთ ქუჩაზე ქვაფენილი სულ გაოხრებულია. ქალაქ ლამბესკის შუაგულში დაინგრა რამდენიმე სახლი, ამბობენ, რომ დაიღუპა 8 კაციო. მისაშველებლად გაიგზავნა ჯარი.

**გენუა**. სან-ველმოს ოლქში ღამე დიდი მიწის ძვრა მოხდა. ვალებორის, კოლდიროდისა და ბორდიგერის მცხოვრებლებმა მთელი ღამე გარედ გაატარეს.

**სან-რემო**. მცხოვრებთა უმეტესობა სახლებში არ შესულა. მიწის ძვრას ზიანი არ მოუტანია.

**მარსელი**. ხმა დადის, რომ 28 მაისის მიწის-ძვრის დროს მოკვდა 60 კაცი. დაშავდა ბევრიო. პოლიციის ოფიციალურ ცნობებით მოკლულია: ლამბერკში 14, სენტკანაში 2, პლისანში 1, რენიდში 12 კაცი.

**ლისაბონი**. პორტუგალიის ზოგიერთ ადგილას მიწა მცირედ იძრა.

### ოსმალეთი

**ვენა**. „კორესპონ.-ბიუროს" სტამბოლიდან ატყობინებენ: ჯევად-ჯაშამ ალბანიაში სამხედრო მოქმედება განაახლა. ჯევად-ფაშას მიტროვიციდან მიუვიდა ტყვის მტყორცნელები. 25 მაისს 4 ბატალიონი 14 ზარბაზნით მალისიაში წავიდა. ეს ადგილი მთა-გორიანი და ძნელი გასავლელია. ჯარმა დაიჭირა სოფლები პონსეჩი და მორინა. კაფომარინის სიმაღლედან ჯარმა ზარბაზნები დაუშინა ალბანელების სახლებს. ალბანელების დამშვიდების საქმე კარგად მიდის. დიაკოვში დააპატიმრეს კიდევ 8 ნოტაბლი, პრიზრენში—ჟანდარმთა კაპიტანი მურტუზა, ალბანელთა მეთაურის პოლკოვნიკ ბაირანზურას ძმა. ბერძნულ გაზეთების სიტყვით, ბერატში შეტაკება მოსვლიათ მთავრობის და ალბანელთა ჯარს. ალბანელებს მეთაურობდა იზეტ-ხანი. მთავრობის ჯარიდან ვითომ უნდა მოეკლათ 12 და დაეჭრათ 17 კაცი. ალბანელების ჯარიდან კი—3 კაცი. ამ ამბის დამამტკიცებელი ცნობა არ მოსულა

**პარიზი**. „ჰავასის სააგენტოს" სიტყვით საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს განუცხადებია: სახელმწიფოები ჯერ არ შეთანხმებულან კრიტოსიდან ჯარის გაყვანის შესახებაო. კრიტოსიდან ჯარს ივლისში გაიყვანენ, თუ მანამდე სახელმწიფოები ახალ საფუძველზე არ შეთანხმდებიანო.

**ვენა**. „კორესპ.-ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: მალისიაში ჯევად-ფაშას შეტაკება მოუხდა ალბანელებთან. ჯევად-ფაშამ დაანგრია ალბანელთა რამდენიმე ციხე. რა ზარალი მოუვიდა ჯარს—არ ვიცით.

**ვენა**. „კორესპონ.-ბიუროს" სტამბოლიდან ატყობინებენ: ამ ბოლო დროს გაზეთებში დაიბეჭდა რომ ოსმალეთი ჯარის მობილიზაციას ახდენს და საბერძნეთს უნდა ეომოსო. ეს ამბავი ტყუილია. ნამდვილი ის არის, რომ შედგენილია მობილიზაციის გეგმა.

### სპარსეთი

**თავრიზი**. არდებილიდან იუწყებიან: მოხეტიალე თემები და კავკასიელი ფიდაები არდებილის ახლომახლო სოფლებს სძარცვავენ. მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა რუსეთის საკონსულოს შეაფარა თავი.

**თავრიზი**. ამ მოკლე ხანში დალმანუისში (სალმასის ოლქია) შეტაკება მოუვიდათ სპარსელ ფიდაებს და ოსმალეთის სალდათებს. ორივე მხრიდან მოკლულ იქმნა ათი კაცი. სპარსელ ფიდაების მეთაური საიდულ-მემალიკი, რომელიც მცხოვრებლებმა ჯარიდან განდევნეს, სალმასიდან გაიქცა. თავრიზელი ვაჭრები კიდევ ელიან, რომ მალე გაიხსნება თეირანისა, ხოისა, სალმასისა და არდებილის გზები. ამ გზებზე ჯერაც არ შეიძლება საქონლის გადატანგადმოტანა, რადგან მთავრობის ჯარი და ყაზახები ქარავნებს თავს ესხმიან.

**თეირანი**. ელლოუ, რომელმაც ინგლისის კოლუმბიაში სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ჩაიდინა და ამისთვის კარგა ხანია ეძებდნენ, ურმიაში აღმოჩნდა. ელლოუს ურმიაში სჭერია ოსმალეთის ვიცე-კონსულის ადგილი და ოსმალოელ ვაჭრების მამასახლისად ყოფილა. ელლოუ დიდ მონაწილეობას იღებდა ურმიაში ამ უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებში.

### საზღვარ-გარეთ

**დრეზდენი**. პოლიციამ საქსონიაში ცხოვრება აუკრძალა იმ რუს სტუდენტებს, რომელნიც საიდუმლო საზოგადოებაში იღებდნენ მონაწილეობას.

**პარიზი**. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი სამხედრო გემების რეფორმის შესახებ.

**ბერლინი**. შუმანის ცირკში მოხდა მრეწველთა კრება. კრება მოიწვია გერმანიის ბანკების და გერმანიის მრეწველთა კავშირებმა. მიზეზი კრების მოწვევისა ის იყო, რომ რეიხსტაგის საფინანსო კომისიამ წინადადება მისცა რეიხსტაგს ახალი გადასახადი დაადოს მრეწველობას. კრებაში მონაწილეობა მიიღეს 100 სავაჭრო პალატის და საბირჟო კომიტეტის წარმომადგენლებმა და ვაჭრობის და მრეწველობის 400-მდე კავშირის დელეგატებმა, სულ 6000 კაცმა. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტია გამოცხადებული კერძოდ რეიხსტაგის საფინანსო კომისიის კლერიკალურ-კონსერვატიულ წინადადების წინააღმდეგ და საზოგადოდ ყველა იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც გერმანიის ვაჭრობისა და მრეწველობის წინააღმდეგ არიან მიმართულნი. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა, დაარსოს მრეწველობისა, ვაჭრობისა და წარმოების ჰ ა ნ ზ ი ს კავშირი. კავშირის დანიშნულება ის იქნება, რომ დაიცვას მრეწველობის ინტერესები და რეიხსტაგის მომავალ არჩევნებში ისეთი დეპუტატები გაიყვანოს, რომელნიც მრეწველობავაჭრობის ინტერესებს დაიცავენ. კრება იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ იგი გერმანიის აგრარულ კონსერვატიულ ლტოლვილებათა საწინააღმდეგო მანიფესტაციად გადაიქცა.

**რომი**. დეპუტატთა პალატა. სამხედრო ბიუჯეტის გადიდების შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს სამხედრო მინისტრმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრმა, სხვათა შორის, სთქვა: ხალხმა უკვე შეიგნო, რომ საჭიროა შეიარაღება და ჯარის გაძლიერება. იტალიის დაცვის ამ წლის ბიუჯეტს მივუმატეთ 10 მილიონი ლირა, მერმის მიემატება 16 მილიონი და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მუდმივ მომქმედ ჯარის რიცხვი 205,000 კაციდან 225,000 კაცამდე ავიყვანეთ. განსაკუთრებულ ხარჯისთვის განზრახულია გადაიდოს 125 მილიონი ლირა. ეს ფული უნდა გადაიდოს ხუთი წლის განმავლობაში და, სხვათა შორის, წრეულსაცაო. მინისტრმა ამის შემდეგ განაცხადა, რომ პალატაში შემოვიტან კანონ-პროექტს, რომლითაც ჯარში სამსახურის დრო ორის წლით იქნება განსაზღვრულიო. მინისტრის ამ განცხადებას პალატა ტაშით მიეგება.

**ამსტერდამი**. ზედა პალატაში აირჩიეს: 7 ლიბერალი, 3 დემოკრატი, 25 კათოლიკე, 20 პროტესტანტი და ისტორიულ ქრისტიანების პარტიის 9 წევრი. ხელ-ახლად კენჭი ეყრებათ 36 კაცს, კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ: 23 ლიბერალი, 7 დემოკრატი, 11 სოციალისტი, 21 პროტესტანტი, 2 კათოლიკე და ისტორიულ ქრისტიანობის პარტიის 8 წევრი.

**დალასი**. (ტეხასი). 29 მაისს ქარიშხალმა მოჰკლა 11 კაცი, ბევრი დაშავებულია. დიდი ზარალია.

**ლონდონი**. ნიგლისის ბეჭდვითი სიტყვის კონფერენციის დელეგატთა პატივსაცემლად მთავრობამ ნადიმი გამართა. ნადიმს დაესწრო ბევრი გამოჩენილი პირი და პოლიტიკური მოღვაწე. პრემიერ-მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა.

**ბერლინი**. სასამართლომ განიხილა პროკურორის წინადადება, რომ თავად ფილიპე ეილენბურგის სათავდებოდ შეტანილი ბე 100,000 მარკა ნახევარ მილიონ მარკად გადიდდესო. სასამართლო პრინციპიალურად დაეთანხმა პროკურორს. ამას გარდა სასამართლომ დაადგინა, გაასინჯვინოს ექსპერტებს ფილიპე ეილენბურგი.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს ტოკიოდან ატყობინებენ: კორეის მთავარ რეზიდენტად ასახელებენ ვიკონტს ა რ ა ქ ს უ ტ ო ს ო ნ ო ს. ამის შესახებ ბრძანება გამოცხადდება პირველ ივნისს. ამავე დროს თავადი იტო დაინიშნება საიდუმლო საბჭოს თავჯდომარედ. იტო დარჩება კორეის მემკვიდრე პრინცის მზრუნველად.

**კაირი**. დაკეტეს გაზეთი „დოიტშე-კაბელგრამმ-გეზელშაფტი", ალლენის ნაციონალისტთა მთავარი ორგანო. მიზეზი—ქედივის შეურაცხყოფაა. გაზეთის პოლიტიკურ განყოფილების რედაქტორი, ამერიკის მოქალაქე, ექიმი რიფაატი, ეგვიპტედან განდევნეს.

**ნიუ-იორკი**. პეკინიდან იუწყებიან: ევროპის ბანკებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ამბავმა, რომ ამერიკელების სინდიკატს სურს მონაწილეობა მიიღოს ხ ა ნ კ ო უ-უ ს ე ჩ უ ა ნ ი ს რკინის გზის სესხში.

**მადრიდი**. სახელმწიფო საბჭომ მოიწონა კანონ-პროექტი, რომლითაც ჩრდილოეთ მაროკოში ესპანიის სამხედრო პუნქტების გასაძლიერებლად ფული უნდა გადაიდოს. ამის გამო ხმა გავრცელდა, რომ ესპანია საომრად ემზადებაო. ოფიციალურის ცნობით ტყუილია ეს ხმა.

**პეტერმარიცბურგი**. ნ ა ტ ა ლ ი სამხრეთ აფრიკის კავშირში შევიდა. ეს საქმე საყოველთაო კენჭის ყრით გადასწყდა.

**ლონდონი**. ბეჭდვითი სიტყვის კონფერენციის დელეგატთა პატივსაცემლად გაიმართა საზღვაო პარადი. პარადში მონაწილეობა მიიღო 144 სამხედრო გემმა, მათ შორის, ოთხმა „დ რ ე დ ნ ო უ ტ მ ა".

### რუსეთი

**პეტერბურგი**. კონტრ-ადმირალმა ბოსტრემმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა სევასტოპოლიდან საზღვაო მინისტრს: „მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას, რომ 29 მაისს, აღლუმის დროს, როდესაც შავი-ზღვის ესკადრა ღამის 11 საათსა და 30 წამზე, უსანთლოდ შედიოდა სევასტოპოლში, ინკერმანის საზღვაო კანდელებს შუა, ესკადრაზე, იერიში მიიტანა წყალქვეშ მოსიარულე ნავმა „კამბალამ". [illegible] სანახევროდ წყლიდან [illegible] ჯერ [illegible] მარცხენა გვერდზე [illegible] „პანტელეიმონს" [illegible]ტივის (43 საჟენის) მანძილზე რომ მოვიდა, ნავი უცებ მარჯვნივ გაბრუნდა და გემ „როსტისლავის" შუბლის რკინას დაეჯახა. ნავის უფროსი ლეიტენანტი აკვილონოვი, რომელიც ზევით იყო, გადაარჩინეს. წყალქვეშ მავალ ნავების რაზმის უფროსი მეორე რანგის კაპიტანი ბელკინი, ნავის უფროსის თანაშემწე მიჩმანი ტუჩკოვი, კონდუქტორი სალნიკოვი და 17 მეზღვაური ნავთან ერთად დაიღუპნენ ზღვაში 28 საჟენის სიღრმეზე. ღონისძიება მივიღეთ ნავის ამოსაღებად, გამოძიება სწარმოებს".

**ნოვოჩერკასკი**. ხუთი რევოლვერით შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი თავს დაესხა სახაზინო არაყის დუქანს. გაიტაცეს 230 მან. და გააფუჭეს 30 ვედრო არაყი. ერთმა ხელი მოაწერა ფულის მიღებაზე და ჩასწერა სოციალისტ-რევოლიუციონერი ვარო.

**პეტერბურგი**. ნაშუადღევს 12 საათსა და 10 წუთზე ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა ფეოდორეს ასული, მემკვიდრე ცესარევიჩი და უმაღლესი ქალები მათი უდიდებულესობისა წავიდნენ პეტერგოფში და „ალექსანდრია"-თი გაემგზავრნენ კრონშტადტში, საიდანაც „შტანდარტით" განაგრძობენ მგზავრობას. მათ უდიდებულესობას ეხლებიან: ორი სეფე ქალი, მინისტრი სახელმწიფო სახლისა, გოფმარშალი ბენკენდორფი, კონტრ-ადმირალი ნილოვი, თავადი ორლოვი, ფლიგელ-ადიუტანტი ნარიშკინი, ლეიბ-მედიკი ბოტკინი და სხვანი. კრონშტადტში მათი უდიდებულესობანი ჩასხდნენ საიმპერატორო. გემ „შტანდარტზე". 2 საათსა და 45 წუთზე გემი გზას გაუდგა.

**სტავროპოლი**. ღამე მხეცურად მოჰკლეს მოხუცი ვაჭარი, მისი შვილი, ცოლი და მოსამსახურე. მოკლულთა გვამები თივაში ჩაჰყარეს და ცეცხლი წაუკიდეს.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ხელ-ახლად აირჩიეს ალექსეენკო, ხოლო იმის ამხანაგებად—ჩერნიცკი და ოპოჩინინი, ნაცვლად ფონ-ანრეპისა და ივანოვ-პირველისა.

სამსახურიდან გავიდნენ: ფინლანდიის სენატის სამოსამართლო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანაშემწე ვრედე (პენსია დაენიშნა 11,250 მარკა); წევრები ამავე დეპარტამენტისა სენატორი ნუმელინი (12,000 მარკა), ლუნდენიუსი, კიუანდერი, ვილკენანი და გრანსტომი (9,000 მარკა), ტიმგრონი (8,000 მარკა), ალევსტი და სენატის პროკურორი ჩილმანს (5,000 მარკა).

რუსებისა და ფინლიანდელებისაგან შესდგა კომისია. კომისიამ უნდა შეიმუშაოს პროექტი საერთო კანონებისა რუსეთისა და ფინლიანდიისთვის. ხელმწიფე იმპერატორმა ამ კომისიაში რუსეთის მხრით, თანახმად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებისა, დანიშნა: თავმჯდომარედ—სახელმწიფო კონტროლიორი ხარიტონოვი, წევრებად—სახელმწიფო საბჭოს

---

# აღმოსავლეთის მუსიკა

**სპარსული, სომხური, ქართული სიმღერები..**

(შემდეგი *)

4.

ამიერ-კავკასიის მშვენიერ ბუნებას აუცილებლად უნდა დაებადა ქართველების სიყვარული მუზიკისადმი. რიონისა, მტკვრისა და არაგვის ხეობათა შემკული სიტურფე სხვა და სხვა გრძნობებს აღძრავდა ქართვლის გულში, და ქართველიც არ ფიქრობდა თავის სიმღერათა სიუჟეტებზედ და ისე თავისუფლად ჰქმნიდა მათ ყოველივე იმის სათაყვანებლად, რასაც ირგვლივ ჰხედავდა. ამიტომაც ქართულ სიმღერებში ისეთი სიუჟეტებია, რომელიც ბუნებას უგალობებს, დამტკბარია მისი სილამაზითა, რომელიც შეედარების თვალ-წარმტაც ივერიის მცხოვრებთა სულიერ ცხოვრების სიმშვენიერესა.

ამ მომხიბვლელსა და გასაოცარ ქვეყანაში, რომელიც ასულდგმულებდა ჩვენს საუკეთესო პოეტთა შემოქმედებას, გარდა ქალებისა და კაცების ხოროთა, რომელნიც უქმე დღეებში იმღერიან სოფლის მოედნებზედ, გარდა სოფლის ცალკე მომღერალთა, რომელნიც დამამშვენებელნი არიან მეზობელთა ლხინისა, არის აგრეთვე განსაკუთრებული კლასსი მოსიარულე მუსიკოსთა. ესენი ჩვეულებრივად ბრმები არიან, რომლებსაც მხარში უდგიან თვალთმხედველნი ამხანაგნი და ხან-და-ხან ეს უკანასკნელნი აყოლებენ მათ სიმღერებს სხვა და საკრავებსა. ასეთ მომღერლებს იმერეთში, მაგალითად, ეძახიან „საზანდარს". მათი საკრავი არის გუდა, რომელსაც ორი ყური აქვს. ერთ ყურში საპიპინოა*) დატანებული, მეორეში—მილი გუდის ჰაერის ჩასაბერავად. მომღერალი გაბერილ გუდას იღლიაში ამოიდებს ხოლმე, ჰფუქავს მას ნელ-ნელა და უშვებს ჰაერს საპიპანოში, რომელიც გამოიღებს ხოლმე სხვა და სხვა ხმებსა.

ქართლში და კახეთში „საზანდარს" „მესტვირეს" **) ეძახიან. აღმოსავლეთ საქართველოში ამასთანავე შეხვდებით „მეთარეს". იგი ხან მარტო დადის, ხან ორ-ორი დადიან ერთად. პირველ შემთხვევაში მეთარე მომღერალიც არის და საკრავზედ ამყოლებელიცა, მეორე შემთხვევაში კი ერთი მანდოლინის მსგავს საკრავს აყოლებს, მეორე კი მღერის, ამკობს სიმღერებში საქართველოს მთასა და ბარსა, თავის წინაპართა საგმირო საქმეთა, რომელნიც დაიღუპნენ ოსმალთა და სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ხან და ხან საღმრთო წერილის ამბებსაც მოსთვლიან ხოლმე, ან ისტორიულ ამბებსა: მაგ. აბელზე, ნოეზე, იობზე, ისააკზე, ან თამარ დედოფალზე, ირაკლიზე და სხვა. თავიანთ სიმღერათა სიუჟეტებად ხან და ხან მომღერლები ირჩევენ ხალხურ თქმულებათა—ამირანზე, არჩილზე, არსენაზე, შახ-აბაზზე და სხვა. მსმენლებს ეს რაპსოდები მაშინვე დიდის ქებით შეხვდებიან ხოლმე, რომ მათ მეტი წყალობა მოაღებინონ. ხან და ხან ეს მომღერლები თავიანთ უბედობასაც მღერიან ხოლმე, მაგრამ ამსუბუქებენ სინამდვილის სიმკაცრეს მისის იდეალიზაციითა. აი შინაარსი ერთი ასეთი სიმღერისა: „შემომხედეთ, ბრმა ვარ, მაგრამ ბედით მაინც კმაყოფილი ვარ: მე ვიმღერ და, თუმც მსმენელთ ვერა გხედავთ, მაგრამ ვიცი რომ ჩემი სიმღერა გიყვარსთ,—უსმენთ, როგორ ამოდის იგი ლხინით სავსე გულიდან და ტკბილად, ნაზად, ბულბულის სტვენასავით ედება არე-მარესა. ხმა მომღერლისა ხომ წარმტაცია, ჩემი სიმღერაც სიყვარულით არის აღსავსე. მარტო მჯდომარეს გული სევდით მევსება, ჩემს ირგვლივ ბნელა, მაგრამ როცა თქვენთან გულ-გადახსნილი ვიმღერი, უზრუნველი, მხიარული და ბედნიერი,—სული მინაღლდება, ჰმუნვა მიმსუბუქდება, მავიწყდება ჩემი უბედურება და აზრით შორს, შორს მივქრივარ. დროც ისე მირბის, ვითა თვით აზრი".

ავტორს ეს სიმღერა, რუსულად თარგმნილი, ამოუღია ავტორს ა. ხახანაშვილის წიგნიდან: „Очерки по исторiи Грузинской словесности" Т. I.) ასეთ მომღერლებს ყველგან შეხვდებით: მოედნებზე, თემებზე, დღეობებში. მათ აუარებელი ხალხი ახვევია გარს და მგოსანიც მღერის ქალის სიმშვენიერეზედა და გლეხის ჭირსა და ლხინზე.

შესანიშნავია, რომ საქართველოში მოსიარულე მომღერალთა შორის სხვა ხალხთა წარმომადგენლებსაც შეხვდებით, მაგრამ ეს უცხოელებიც მხოლოდ ქართულ სიმღერებსა მღერიან და ქართულ სიუჟეტით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ყურს არავინ დაუგდებს.

ეს უცხოელი მოსიარულე მომღერლები ჩვეულებრივ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები არიან (აშუღები); თითქმის ყველა ისინი ბუნებით მახინჯნი არიან, ბავშობიდანვე სწავლობენ ხალხურ სიმღერებს, რომ ამით ლუკმა სჭამონ. მათ მხოლოდ ქალაქში ნახავს კაცი; სხედან სადმე კუთხეში მოკეცილები, გამხდარი ცხვირსახოცით, სადაც გამვლელები ფულს აწყობენ.

მოსიარულე მომღერალთა გარდა საქართველოში არის კიდევ მეორე ტიპი **მომღერალ იმპროვიზატორებისა**, რომლებიც ყველგან სასურველი სტუმრები არიან. მათ კაცი ნახავს მხოლოდ როგორც მოწვეულთ ex necessitate სადილებზედ, დღესასწაულებზედ, ან მდიდარ მემამულეთა ლხინში. ისინი განსაკუთრებული ხელოვნებით იმღერიან ხალხურ სიმღერებსა. ხან ზედ ტუჩზედ აღნებად ხოლმე ტკბილი ჰანგები, ხან ძლიერად გაისმის ხოლმე მათი სიმღერის ხმა და თვით მოსათვალავის შინაარსით აღტაცებული გულიდან იგი გრიალით ამოდის; მომღერალი ხან და ხან თავის საკუთარ იმპროვიზაციითაც უმასპინძლდება მსმენელს და ეს იმპროვიზაცია ძლიერ მკაფიოდ ჰხატავს მის სამშობლო ვოკალურ გამოთქმის სულსა და გულსა.

სტილი ქართულ ხალხურ სიმღერათა, მელოდიის დიატონიურ აგებულების მხრით, მტკიცე ხასიათისაა, პლასტიური სილამაზისა, ეკლესიური სიდინჯისა. ხრომატიზმი არ არის. ეს სტილი საზოგადოდ საეკლესიო სტილსა ჰგავს, თუმცა რამდენიმე სიმღერას ვნებიანობა ემჩნევა, რაიცა საზოგადოდ არ შეადგენს ქართულ სიმღერათა ხასიათსა.

ქართული ხალხური სიმღერები თითქმის ყველა ძველ საეკლესიო სიმღერათა აგებულებისაა; მათ ეჩნევათ საეკლესიო გალობათა დამახასიათებელი კადენციები და მოდულაციები, რომელნიც დიდის ხელოვნებით იხმარებიან და ორიგინალური მოსასმენნი არიან. *)

პარალელური ქვინტები და ოკტავები, რომელნიც იწოდებიან აღკრძალულ თანდათანობად, ქართულ ხოროს სიმღერ-ბი იშვიათნი არ არიან, თუმცა უნდა-კი ვთქვათ, რომ, არ ვიცი რატომ, ძლიერ სასიამოვნონი არიან ყურისათვის. მაგალითად მოვიყვან, ერთს სიმღერას, სადაც არის ისეთი თანდათანობა. ეს სიმღერა მომაწოდა ბ-ნმა მ. ბალანჩივაძემ და ხალხშიაც გამიგონია მე თითონ.

პირველი დამახასიათებელი ქართულ სიმღერათა არის მათი მრავალ-ხმოვანება, ანუ უკეთ ვთქვათ, სამხმოვანება (ორი ტენორი, ერთი ბასი). ამასთანავე ძირითადი მელოდია ყოველთვის მაღალს, ანუ პირველს ხმაშია; ხშირად მეორე უფრო მაღლა მღერის, ვიდრე პირველი; მელოდია აგრეთვე ხანდახან იწყება საშუალო ხმაში და გადადის მაღალში, ამასთანავე მელოდიას ხან ერთი ხმა ასრულებს ხოლმე და ხან მეორე, როგორც ესა სჩანს მოყვანილი მაგალითებიდან.

ხან და ხან ძირითადი მელოდია სრულიად საშუალო ხმაშია ხოლმე, მაღალი ხმა კი მისი საინტერესო კონტრაპუნქტია, რაღაც მსგავსი „melodia ostinata"-სი.

ბასს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს და ისეთი დამახასიათებელი და ჩვეულებრივი მსვლელობა, რომ უბრალო დილლეტანტიც კი მაშინვე გამოიცნობს ქართულ სიმღერას.

ხან და ხან შეგვხვდებათ საინტერესო შემთხვევანი ხალხური „basso

---

*) იხ. „დროება", N 118.

*) მესტვირის გუდის ნაწილთა დაწვრილებით აღწერას ქართველისათვის არა აქვს მნიშვნელობა. ყველას უნახავს ჩვენში ხტვირის გუდა. ამიტომაც პირდაპირ საპიპინოდ ვთარგმნით მთელ: „Деревянный рожокъ съ круглыми продушинами", და სხვ. მთარგმნელი.

**) აქ ავტორი ცოტა სცდება. „საზანდარს" კი არ ეძახიან მესტვირეს, არამედ „მესაზანდრესა". საზანდარი თვით მუსიკის აღსრულების მთელ ორგანოს ჰქვია კაციან ინსტრუმენტიანად. ამასთანავე მესტვირეს იმერეთშიაც ეძახიან ასეთ მუსიკოსებს. ბრმა მესტვირეც არახედეს არ გვინახავს იმერეთში. მთარგ.

*) ჩვენის ფიქრით, პირიქით ჩვენი ხალხურიეროდ საგალობლები უნდა იყვნენ წარმომდგარნი საერო სიმღერებიდან, ვინაიდან წარმართობის დროსაც ალბად ექნებოდათ ქართველებს საერო და საღმრთო სიმღერებიც. მთარგმნელი.

წევრი დეიტრიხი და მიასოედოვი, გენერალი გოროდკინი, სტატს-სეკრეტარები სახელმწიფო საბჭოს წევრები იაკუნჩიკოვი და კორევი.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა—11, გარდაიცვალა—3 კაცი.

**კიევი.** სოფ. ბეპრინში ცეცხლი გაჩნდა. გადაიწვა 86 სახლი.

**ოდესსა.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე 10 კაცის, რომელთაც ანარქისტ-კომუნისტობა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ გადუწყვიტა: ექვს 4—12 წლით კატორღა, ერთს—1 წლით ტუსაღთა გამასწორებელი რაზმში. დანარჩენი გაამართლა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 17, გარდაიცვალა 1 კაცი.

**სევასტოპოლი.** დაიწვა ნაღმოსანი № 273. არავინ დაშავებულა.

**პინსკი.** დააპატიმრეს მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი გოტოვჩიცი. გოტოვჩიცი გლეხებს კრებაზე ურჩევდა, მემამულეებს მიწები ჩამოართვითო.

**ყაზანი.** როგორც იყო, შესდგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს კრება. კრებამ დაადგინა, ახალ რექტორის არჩევნები შემოდგომისთვის გადასდოს. ეხლახან არჩეული რექტორი პროფ. ზაგოსკინი არ დაამტკიცეს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ყუმბარა.** მეორე საპოლიციო ნაწილის სადგომში, პეტრე დიდის ქუჩაზე, გუშინ, 1 ივნისს შემდეგი ამბავი მოხდა: ამ რამდენისამე თვის წინად ვიღაცებმა გაიტაცეს მამადავითში მცხოვრები სტუდენტი ბახტაძე. ბახტაძე დღესაც არსადა სჩანს და არ იციან, მოჰკლეს იგი თუ ცოცხალია. ამ სტუდენტის ცოლს მარიამ ბახტაძისას, როგორც გადმოგვცეს, პოლიციის სამმართველოსთან ოთახი ჰქონია. იქვე სცხოვრობდა თურმე მისი დედა, ქვრივი ბედიაშვილისა. გუშინ, დილის 7 საათზედ, ბახტაძისათვის ვიღაც მეკურტნე მუშას მიუტანია კალათით ბალი. ქალი დიდ თეფშზე ბალის დაცლას შესდგომია და კალათი თავდაღმა გადმოუტრიალებია, ამ დროს საშინელის ხმით გამსკდარა რაღაც საფეთქებელი ნივთიერება. როგორც შემდეგ გამოირკვა, ყუმბარა. ყუმბარის ნამტვრევებს ქალი სულ დაუგლეჯია. ამბობენ, დედაც სასიკვდილოდ დაიჭრაო. კალათის მიმტანი მუშა მსწრაფლ მიმალულა. როგორც ეტყობა, მუშის ტანისამოსში განგებ გამოწყობილი, და ბალის წყალობით ყუმბარა შეუტყუებია. პოლიცია გამოძიებას შეუდგა. მრავალი მეკურტნე ქურთი მიიყვანეს გუშინ პოლიციაში იმის გასაგებად, თუ ვინ მიიტანა კალათა.

✦ **ხევსურების გამაჰმადიანება.** სოფელ ამილის მცხოვრებ (ახილის საზოგადოება) ხევსურებს, 6 კაცს, რომელთა შორის ერთი ცოლშვილიანი იყო, მაჰმადიანობა მიუღიათ. ამის შესახებ ფშავ-ხევსურეთის ბლაღოჩინმა მღვდელმა გრიგოლ ტყემალაძემ მოხსენება წარუდგინა ექსარხოსის მოადგილეს. ეხლა ხშირია თურმე, რომ ხევსურის ქალები ქისტებზე თხოვდებიან. წინად არასოდეს არ მომხდარა. როგორც გადმოგვცეს, შატილში რვა თვეა მღვდელი არ დაუნიშნიათ. წინანდელი მღვდელი გაუძევებიათ „რევოლიუციონერობისათვის“.

✦ **ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ.** „ბაკუს“ სიტყვით, უმაღლესი მთავრობა ამ ჟამად ადგენს ზომებს კავკასიაში ცარცვა-გლეჯის მოსასპობად.

✦ **კათალიკოსი იზმირლიანი სტოლიპინთან.** „კასპს“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სომეხთა კათალიკოსმა ინახულა პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი და ერთი საათი ესაუბრა. ილაპარაკეს ოსმალეთის მდგომარეობაზე. ფიცის მიღების შესახებ კათალიკოსმა განაცხადა, საეკლესიო კანონის ძალით სომხურ ენაზე უნდა დავიფიცოთ, მაგრამ, თუ საჭირო იქნება, ფიცს რუსულადაც გავიმეორებთ. სკოლების შესახებ პრემიერ-მინისტრმა სტოლიპინმა სთქვა, სკოლები საეკლესიო, ეროვნულ და სახელმწიფო მიზნებს უნდა ემსახურებოდნენო. სომხურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ კათალიკოსის მიერ სტოლიპინის ნახვა შეასუსტებს სომ.ების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებსაო“.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 30 მაისს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებმა მთა-მადნის მრეწველმა გიორგი კუნდუროვმა რევოლვერით თავის მოკვლა განიზრახა. დაჭრილს მსწრაფლ საექიმო დახმარება გაუწიეს, მაგრამ მისი მორჩენა, ექიმების სიტყვით, საეჭვოა. კუნდუროვს ნერვების ავადმყოფობა ჰქონდა.

✦ **კავკასიის შესახებ კანონ-პროექტი.** „ბაკუ“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა ხომიაკოვს განცხადება გადასცა. განცხადებაში ნათქვამია, საჭიროა, კავკასიის შესახებ კანონ-პროექტები ჩქარა იქმნას განხილული, უფრო-კი ის კანონ-პროექტი, რომლითაც კავკასიაში ბატონყმობის ნაშთები უნდა მოისპოსო.

✦ **ახალი კლუბი.** დღეს, 2 ივნისს, საღამოს 8 საათისთვის ტფ. თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ახალ კლუბის წევრებისა. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: მიღება კლუბის ახალი წევრებისა, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

✦ **განაჩენის გაუქმება.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, მთავარ სამხედრო სასამართლოს გაუუქმებია ქუთაისის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გუბილაძეს ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი. გუბილაძეს ჰბრალდებოდა მოხელის გაცარცვა. საქმე ხელახლა გაირჩევა.

✦ **ლომთათიძე.** როგორც ვიცით, მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ლომთათიძემ დეპუტატს ჩხეიძეს სთხოვა, იშუამდგომლე, რომ ბათუმის ან სუხუმის ციხეში გადამიყვანონო. „კასპის“ სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს კურლოვს ჩხეიძისთვის გადაუცია, „ლომთათიძის გადაყვანა კავკასიის ნამესტნიკის თანხმობაზეა დამოკიდებული და იმას მიმართეთო“.

✦ **საბაღოსნო სკოლა.** ტფ. საბაღოსნო სასწავლებელი უფულობით დიდ გაჭირვებაშია, რადგან სახელმწიფო სათათბიროს ჯერ არ განუხილავს კავკასიის საერობო თანხის შესახებ ხარჯ-აღრიცხვა. როგორც ვიცით საბაღოსნო სასწავლებელს ამ თანხიდან წელიწადში 4500 მანეთი ეძლევა. სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, გამართოს სახალხო სეირნობა 14 ივნისს.

✦ **სეირნობა.** კვირას ქართულ ქალთა საზოგადოების სკოლა სახელოსნოს სასარგებლოდ მუშტაიდში გაიმართა სეირნობა და ლატარია. ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **სეირნობა და საზაფხულო თეატრის გახსნა.** კვირას ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ თეატრის ბაღში გაიმართა სეირნობა. ხალხი ბლომათ დაესწრო. ამავე საღამოს გახსნეს საზაფხულო განყოფილება. სცენა იგივეა, მხოლოდ ბაღის მხრიდან პარტერია გამართული ამფითეატრის მსგავსად. საზაფხულო თეატრი თუმცა პატარა, მაგრამ კოხტაა. გუშინ ქართულად წარმოადგინეს ვოდევილი „დედის ერთა“, ფერხული იმღერა და ითამაშა გურულმა ხორომ, რამდენიმე სიმღერა კავსაძის ხორომ შეასრულა. იცეკვეს ლეკური და აჩნური. დასასრულ სინემატოგრაფით სურათები აჩვენეს..

✦ **კრების გადადება.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება გუშინ, 1 ივნისს, არ მოხდა, რადგან 14—15 კაცზე მეტი არ გამოცხადდა. ამიტომ კრება დღეისთვის გადასდეს. კრება მოხდება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს.

✦ **ფულის მიღება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო ბაქოდან 600 მან. ეს ფული ბაქოს ქართველ საზოგადოებას შემოუვიდა ზამთარში საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდან.

✦ **სახელოსნო სასწავლებელი.** ტფ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის უკანასკნელ კლასში დასრულდა ეგზამენები 30 მაისს. გამოცდას დაესწრო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი. წელს სახელოსნო სასწავლებელი 32 კაცმა დაასრულა.

✦ **უპასპორტოების დაპატიმრება.** ნაძალადევში გაჩხრეკის დროს 30 მაისს დააპატიმრეს 6 უპასპორტო კაცი. 31 მაისს ავჭალის ქუჩაზე დააპატიმრეს 9 კაცი.

✦ **სასინოდო კანტორის წევრი.** როგორც „ზაკ.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, სასინოდო კანტორის წევრ ად ნიშნავენ არქიმანდრიტ ნაზარის (ლეჟავა).

✦ **სომეხთა კათალიკოსი ტფილისში.** როგორც ვწერდით, ტფილისელმა სომხობამ კათალიკოსის მისაღებად აირჩია განსაკუთრებული კომიტეტი. კომიტეტის ანგარიშით 10,000 მანეთი იქნება საჭირო კათალიკოსის მისაღებად. ამ ფულის გაღება ტფილისელმა ვაჭრებმა იკისრეს.

✦ **ექსკურსანტები.** გუშინ, 1 ივნისს, ნახიჩევანიდან ჩამოვიდნენ იქაურ სომხურ სასულიერო სემინარიის უკანასკნელ კლასის მოსწავლენი და დაათვალიერეს ტფილისის შესანიშნავი ადგილები: კავკასიის მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი, წ.-კ. საზოგადოების მუზეუმი და სხვა.

✦ 31 მაისს ვორონცოვის ხიდზე ჩხუბი მოუვიდათ ნიკოლოზ ელერდაშვილს და ლონგინა ყიფიანს. ელერდაშვილმა მოავლო ხელი ყიფიანს და პირდაპირ მტკვარში გადაისროლა. ყიფიანი გადაარჩინა კურხულიამ. ელერდაშვილი დააპატიმრეს.

✦ 31 მაისს, ღამის 10 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე საროსკიპო სახლში, ცარიცინის მცხოვრებმა ქალმა მატრენა კრაუჩკოვისამ კარბოლის სიმჟავე დალია და თავი მოიწამლა. ქალი რამდენიმე წამის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ ავჭალაში მცხოვრებ ალექსანდრე და თამარ ციციშვილებმა წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმს შესწირეს ერთი ძველი ხუცური ხელთნაწერი ხბოს ტყავზე დაწერილი და რკინის მუზარადი.

# პატარა ფელეტონი

## საეგზამენო ხვლიკები.

გაზაფხული, ბუნების აყვავების ხანა, მოსწავლეთათვის ნამდვილი ჯოჯოხეთია. მასწავლებლებს ბუნებაზე უნდა მიუთითოთ. არსად, ბუნების წიაღსა შინა, სასტიკ ეგზამენატორს ვერ შეხვდებით. აბა სად დაინახავთ რომელსამე მცენარის წინაშე ატუზულ უგემურ მოვლენას, რომელიც ავალებს მას, გინდა თუ არ გინდა, ჩემი ბძანების თანახმად, ამ წუთშივე უნდა თვალ-წინ გადამიშალო შენი კვირტები, შენი ყვავილის ფიალა სავსებით უნდა დამანახვოო. ეს ბუნების საწინააღმდეგო ხელობა კარგა ხანია მასწავლებლებმა იკისრეს, დღევანდელ წყობილების დავალებით: უბძანებენ მოწაფეებს, ამა და ამ დღეს, ამა და ამ წუთს თვალ წინ უნდა გადაგვიშალოთ შეძენილ ცოდნის კვირტები, სწავლის ყვავილი აშკარად უნდა დაგვანახვოთო.

რა არის ამის შედეგი? ბუნების წინააღმდეგობას თვით ბუნება სჯის. ცის ქვეშ თავისუფლად გადაშლილ ყვავილების ფურცლებს მშვენიერი, თვალის წარმტაცი ფერადები აჩნევია. მთავრობის განკარგულებათა ქვეშ მომქმედ მასწავლებელთა და მათ მსხვერპლ მოწაფეთ კი ეგზამენების დროს სიცოცხლის ელფერი არა აქვთ.

ბოლოს და ბოლოს ეგზამენები სხვა არა არის რა მასწავლებელთა მოსწავლეების წინააღმდეგ გალაშქრების გარდა. მოსწავლენი ყოველნაირ საშუალებას ხმარობენ, რათა „მტერი“ მოატყუონ და თავი სწავლულად აჩვენონ.

აი ჩინებული ნიმუში იმისა, თუ რა ხრიკებს ხმარობენ მოწაფენი საეგზამენო ლაშქრობის დროს. ოოცა ერთს საშუალო სასწავლებლის უმაღლეს კლასის მოწაფენი ოთახში კარ-ჩაკეტილნი ეგზამენის ცეცხლში ტრიალებდნენ, მათემატიკური ამოცანა უნდა აეხსნათ და დაეწერათ, გარედან მშველელმა რაზმმა შემდეგი ხერხი იხმარა გაჭირვებულ ამხანაგების დასახმარებლად. ფანჯრიდან გადაგდებული დაწერილი ამოცანა ახსნა, რამდენიმე „ზაპისკა“ დასწერა, უკვე წინ და წინ დაჭერილ ხვლიკებს კუდზე მიაბა და ეს ხვლიკები საეგზამენო კლასში შეუშვა, იმ განზრახვით, რომ ის ხვლიკები, რომელნიც მასწავლებლებს გადაურჩებოდნენ, მოწაფეთ ჩაუვარდებოდნენ ხელში.

ჩემის აზრით, ამ ხვლიკების სურათი თვითეულმა მასწავლებელმა ნიადაგ საყურებლად უნდა ჩამოჰკიდოს თავის ოთახის კედელზე. ხვლიკის კუდზე ჩამოკიდებული ბარათი სწორედ ზედგამოჭრილი სიმბოლოა ეგზამენების შინაგან ვითარების გამომხატველი. ეგზამენი არაფერს არ ასწავლის მოწაფეს, გარდა ხვლიკის კუდის მგზავსად სინიდისის გაიძვერა გაცქვიტებისა. ეგზამენზე შეძენილი ცოდნაც ხვლიკის კუდზე მიბმულ პაწია ბარათს უდრის. ისევე სწრაფად გაირბენს იგი მოწაფის ცხოვრებაში და მიიმალება დავიწყების სოროში. როგორც საეგზამენო კლასში შეშვებული და იქვე კედლების ნაპრალში შემძვრალი ხვლიკი ბუნებისაგან მისთვის მინიჭებულ მთელ სიმსუბუქეს და გაძვრენა-გამოძვრენის უნარს ხმარობს მტრის ხელიდან თავის დასაღწევად, ისე მოწაფეც სასწავლებელში შეძენილ მთელ თავის სიმჩატეს და გაძვრენ-გამოძვრენის უნარს ახმარებს მასწავლებლის ხელიდან თავის დაღწევასა და გადარჩენას.

მხოლოდ ერთი განსხვავებაა ეგზამენების პრინციპსა და ხვლიკს შორის. ნათელი დღე ხვლიკს ხვრელიდან ამოიყვანს და მზის შუქზე თავისუფლად ანავარდებს. ეგზამენების შუქი კი იმგვარ ხასიათისაა, რომელიც მოწაფეს ვერაგობის სოროში შეაძვრენს და იქ შავ-ბნელ ოინების ხმარებას ასწავლის. ხვლიკი მშუქარე მზეს თავისუფლად მიელტვის, ეგზამენ-გამოვლილი მოწაფე კი ცოდნა-მეცნიერების შუქს ღამურასავით გაურბის. **ი. ნაკაშიძე.**

# მოწერილი ამბავი

**ქსნის ხეობა.** გულსაკლავ სურათს წარმოადგენს ხეობის ცხოვრება. დღემდის ცოტათი მაინც უღვივდათ გულში იმედი და რაღაცას ელოდნენ, მაგრამ დღეს ეს იმედიც გაჰქრა, რადგან ის მოწინავე პირნი, რომელნიც იმედს აძლევდნენ ხალხს, რეაქციის სათავეში ჩაუდგნენ და იწყეს თარეშობა ისედაც გაუბედურებულ გლეხობაზე.

ბუნებამაც უღალატა გლეხს და ღმის ისე დაიღუპოს რომ ლუკმა პურიც-კი გაუწყვეს. ადამიანი გულქვა უნდა იყოს, რომ გულ გრილად უცქიროს გლეხთა აუტანელ მდგომარეობას. ვისაც-კი თვალით უნახავს მათი ცხოვრება, დამემოწმება, რომ აუტანელი რამეა აქაური ყოფა. ერთი პატარა მიწური ანუ მშრალ ქვით აშენებული სახლი მაღლა მთის წვერზე. შიგ სცხოვრობს 20-25 სული ამათ მამულს შეადგენს აქა-იქ თითო საჟენი მოფოცხვნილი მიწა. უმეტესნი ტიტველნი არიან. ქალები სირცხვილით იმალებიან, როდესაც მიხვალთ, რადგან ტიტველნი არიან. ბავშვებს ხომ ნუღა იტყვით. დამე წვანან კერასთან, (შუა ცეცხლი იციან). კონკებში სუჯამენ პურს ცხელი ნაცარში გამოცხვარს. ისე სოფელში ვერ შეხვდებით, რომ ორი კომლი მაინც იყოს ჯან-საღი. უმეტესს ფილტვები დასუსტებული აქვს და უდროვოდ ესალმება წუთისოფელს.

დადგება თუ არა ზაფხული, მაშინვე ჩნდება სათფლე, „ტიფი“. მთელს სოფელს დასცემს ხოლმე ძირს. ეხლაც გავრცელებულია ეს სენი. თითო ოჯახში 2-3 ავადმყოფია. მათვის არ არის არც საჭმელი და არც სასმელი. ამ გაჭირვებას არავინ აქცევს ყურადღებას და ყოველ დღე მათი კარის წინ ჩადგები სდგანან რაიმე გადასახადისთვის. ამას დაურთეთ მემამულე და მღვდელი, ერი, ბერი და სურათი თვალწინ წარმოუდგება.

ქსნის ხეობაზე სამი მთავრობის მამასახლისია—ახალგორში, [illegible]ნასტერში და ზახორში. [illegible] ვს ქქვს ჩაფარი. მამასახლისი იღებს თვეში 45 მ., [illegible] 25 მ., [illegible]ლი 30 მ. კანცელარის ქირა 8 მ. მოსამსახურეს 7 მანეთი. მთავრობის მამასახლისს ჩაფრებით, მწერალით, და მოსამსახურით უჯდება 720 მანეთი, წელიწადში-კი 8640 მ. ეს ფული გაჭირვებულ ხალხისთვის დიდი შემწეობა იქნებოდა. ამოტენა ფული მამასახლისებზე იხარჯება და ერთი სკოლა კი არ არის... **გლეხი ვანო.**

---

**გრემისხევის საზოგადოება** (დუშეთის მაზრა). სწორედ ორი თვეა, რაც აქაურებს ცამ ნამი არ აღირსა (ეს წერილი გამოგზავნილია 25 მაისს). საშინელი გვალვაა. ყანები თითქმის სულ გადამწვარია. ბევრმა გლეხმა ყანაში საქონელი შეუშვა და მოაძოვა. სოფლებს შიმშილი მოელით, ასეთ მოუსავლობას ჯერ არავინ მოსწრებია. ნამეტნავად დაზარალებულია შემდეგი სოფლები: სარბიელი, დოლგინი, ბურდული, ჯვარის-უბანი, კაბეთი, უფურეთი და ტონხა. გლეხები ძალიან დაღონებულნი არიან. იმედი არსაიდან არის. ყველამ იცის, თუ ამ შემთხვევაში რას გააკეთებს მთავრობა. ამას გარდა, გვალვის გამო, ბალახი სულ არ მოსულა და, ამ რიგად, საქონელი ნახევრად მშიერი დაეხეტება გადამწვარ მინდორში.

მოუსავლობას ზედ ერთვის მამასახლის - სტრაჟნიკების მოქმედება. ამ ვაჟბატონებს ისე ჰგონიათ, თითქოს ხალხი იყოს მათვის და არა ესენი ხალხისთვის. ამ რამდენიმე ხნის წინად გვეწვია მთავრობის-მიერ დანიშნული მამასახლისი ჩიდოევი. ამ მამასახლისს ერთიზნე სჭირდა—დიდ-თმიანები ეჯავრებოდა. დაინახავდა თუ არა დიდ-თმიანს, უპირველეს ყოვლისა კარგად სცემდა და მერე ხანჯლით თმებს აჭრიდა. ჩიდოევი, ღვთის მადლით, მალე მოგვაშორეს. ეხლა, როგორც გავიგეთ, ის რაღაც „კარგი“ საქმისთვის საპატიმროში ჩაუსვამთ. ამის შემდეგ დანიშნეს კასპელი აზნაური. რა თქმა უნდა, ამანაც დაიწყო თავის „უფლების“ კარგად მოხმარება. 7 მაისს, ამაღლებას, მამასახლისი თავის დარაჯებით სოფ. თხოვანში ავიდა. ამ სოფელში გულიშვილებს ხარჯი ჰქონდათ და მამასახლისიც მიიწვიეს. როდესაც მამასახლისმა და დარაჯებმა კარგად გადაკრეს, იქვე ახლო შეამჩნიეს საეროთო დარაჯი, რომელიც თავის უფროსებს დასთხოვნოდა და სოფელში წამოსულიყო. მამასახლისმა პასპორტი მოსთხოვა. დარაჯმა უთხრა, სახლში დამრჩაო. ამის შემდეგ თოფი მოსთხოვეს, თოფი შენახული მაქვსო, მიუგო დარაჯმა. მამასახლისს არ იამა ასეთი მკვახე ლაპარაკი და დარაჯს უბრძანა, „კანცელარიაში“ ჩამოდი უნდა გამოგკითხოო, რაზედაც ცივი უარი მიიღო. მამასახლისმა დარაჯს თავი მიანება და სოფლიდან წავიდა, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა და ძალით მოინდომა დარაჯის წაყვანა. დარაჯმა ხმალი იძრო და მამასახლისი სამ ალაგას დასჭრა. ამის შემდეგ მამასახლისის დარაჯებმა დარაჯს თოფები ესროლეს. ხალხი ისე დააშინა ამ ამბავმა, რომ ყველანი სახლში მიიმალნენ. ეხლა გამოძიებაა.

# თავად-აზნაურთა კრება

13 მაისს თავად-აზნაურთა კრება დილით მოხდა ქართულ თეატრში.

ვიდრე მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგებოდნენ, თავმჯდომარემ კრებას აცნობა ხელმწიფე იმპერატორის საპასუხო დეპეშის შინაარსი. კრებამ ფეხზე ადგომით მოისმინა დეპეშა და „ურას“ ძახილით მიეგება.

ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ თავად-აზნაურობამ ღირსეულად აღნიშნოს ხსოვნა მარშლად ნამყოფის თავ. დ. ზ. მელიქიშვილისა. მ. ვ. მაჩაბელმა სიტყვა წარმოსთქვა. რამდენიმე სიტყვით აღნიშნა მნიშვნელობა განსვენებულ მელიქიშვილისა და განუცხადა: განსვენებულის სახელი ღირსეულად უნდა დავაფასოთ და ამის სახსოვრად რაიმე კარგი

---

stinato“-ს ბასი გამუდმებით იმეორებს რომელსამე მუსიკალურ ფრაზას, დანარჩენი ორი ხმა კი მის ირგვლივ ასრულებს მელოდიას, რომელიც იმიტაციის მსგავსად ერთიდან მეორეში გადადის და ბასის ფრაზასთან შეერთებული ფრიად საინტერესო კონტრაპუნქტებსა ჰქმნის.

სამივე ხმა დამოუკიდებელია, მაგრამ ხან და ხან, თუმცა იშვიათად, ორი ხმა ერთდება ხოლმე და ჰქმნის უნისონს. უნისონი სიმღერის ბოლოში კი ჩვეულებრივია, თუმცა ხან და ხან ესეც არ მოხდება ხოლმე,— გამონაკლისი, რომელიც წესს ადასტურებს.

ქართული რითმიული სიმღერები მრავალფეროვანია და საინტერესოა, მაგრამ სრულიად მოკლებულია იმ დაჭარბებულ ფერადოვნებასა და ჭრელობას, რომელიც შეადგენს სპარსულ სიმღერათა კუთვნილებას. იშვიათად, ძლიერ ძვირად შეხვდება კაცი ხუთ-მეოთხედიან ზომას, რომელიც ამასთანავე არაფერს გაურკვეველს არ წარმოადგენს.

ქართულ სიმღერათა აღსრულებაც არა ჰხდება სრულიად ყელის ხმებრითა და ცხვირიდან გამოძახილითა, რითაც დახასიათდება ბევრი აღმოსავლეთის ხალხის ვოკალური ტექნიკა. უმეტეს ნაწილად ქართველები მღერიან ბუნებრივის, მკერდის ხმითა, და მხოლოდ იშვიათად ხმარობენ ფალცეტსა. ამ უკანასკნელს უფრო გურიაში შეჰხვდები კაცი. ჩემ მიერ აქ გაგონილი სიმღერები განირჩევიან განსაკუთრებულის სილამაზით, რომელიც მარტო მათ კუთვნილებას შეადგენს. შინაარსი მათი ძლიერ მდიდარია. ისინი ზოგი ნაზია და სევდიანი, ზოგი ხალხურ ღრმასა და მხიარულ იუმორს გამოჰხატავს, ზოგი კი ნამდვილ ზღაპრულ მდევთა გმირული სიმღერაა, გულწრფელი და დიდ ლხინით აღვსილი.

თავის დღეში არ დამავიწყდება ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე მოახდინეს გურულმა ცეკვამ და სიმღერებმა, ჩონგურის ხმაზედ. სხვათა შორის მე ვნახე ძლიერ საინტერესო და ორიგინალური ხალხური ცეკვა: კაცების ხორო აკეთებს წრეს, მოცეკვარები ერთმანეთს ბეჭებზე ხელებს ჰხვევენ და იწყებენ ცეკვას, თან სიმღერას აყოლებენ. ჯერ ნელანელა ცეკვავენ, მაგრამ რამდენადაც სიმღერა ცხოველდება, ცეკვასაც უმატებენ და ბოლოს საშინელის სისწრაფით, გატაცებით ტრიალებენ. ხან და ხან ყველაზე უფრო კარგი მოთამაშე წრის შუაში ცეკვავს. თუ ხორო დიდია, ხან და ხან ორ წრესაც აკეთებენ. ამ შემთხვევაში მეორე წრე პირველს ბეჭებზედ შეადგება ხოლმე. ამ ცეკვას ჰქვია **ფერხული.**

ჩონგურის ხმაზე ნამღერი სიმღერა ბევრი ჩავწერე. ერთი სიმღერა ისეთ არა-ჩვეულებრივ პირობებში ჩავწერე ჩემ ნაცნობთან. ბ-ნ ე. ს. ხუნდაძესთან ერთად ერთხელ მთებში გზა დამებნა, როცა ჩოხატაურიდან საჯავახოში გადავდიოდი. შაბათ საღამო იყო. ვფიქრობდით, თუ როგორ გვენახა გზა. ამ დროს დავინახეთ შორი-ახლოს ცეცხლი. გავსწიეთ იქითკენ და პატარა ხანს შემდეგ გლეხის კოხს მივადექით, საიდანაც გამოდიოდა სიმღერისა, ცეკვისა, სიცილ-ხარხარისა და ლხინის გუგუნი. მასპინძელმა კარგად მიგვიღო და ორი საათის განმავლობაში ჩავსწერეთ ყოველისფერი, რაც გვეინტერესებოდა.

აქ პირველად შევნიშნე, რომ ქართველები „სოლო“-ს სიმღერათა უქონლობის ნაკლს შემდეგ ნაირად ავსებენ: ხოროს სიმღერის მაღალი ხმა იქცევა სოლოს პარტიად, ჩონგური კი თითქოს დანარჩენ ხმათა ადგილს იჭერს. აქვე ჩავსწერე მშვენიერი და ლამაზი ცეკვა, რომელიც რუბინშტეინის „დემონში“ ქალთა ცეკვას გვაგონებს. ამ სიმღერას სამართლიანად შეუძლია დაიჭიროს შესაფერი საპატიო ადგილი ქართულ საცეკვაო სიმღერათა შორის. ეს საცეკვაო სიმღერა იქცევს ყურადღებას ფორმის შნოიანობათა და მელოდიის პლასტიურ მშვენიერებითა. ამას გარდა ის იმ მცირე რიცხოვან ქართულ საცეკვაო სიმღერათაგანია, რომელთაც სულ სხვა ხასიათი აქვს: თავისებურება ამ სიმღერებისა მით გამოიხატება, რომ ძირითადი მათი მოტივები შესდგებიან უმეტეს ნაწილად მოკლე მუსიკალურ წინადადებათაგან, რომელნიც განაწილებულ არიან ორ ხოროს შორის და მეორდებიან მრავალჯერ სხვა და სხვა ცვლილებითა. ამასთანავე ტემპი თან-და-თანის სიჩქარით მიდის.

(დასასრული იქნება)

საქმე გავაკეთოთო. ეს კაცი დაუფასებელი იყო არა თუ ჩვენი წოდებისა, მთელ ქართველ ერისათვისაო. თანამედროვეებმა იგი ვერ იცნეს და ვერ დააფასეს. ჩვენ უნდა განსაკუთრებული კომისია აუირჩიოთ და დავავალოთ, შეისწავლოს ცხოვრება და მოღვაწეობა განსვენებულისა და შემდეგ კრებას მოახსენოს. მაშინ ვიქონიოთ თათბირი იმის შესახებ, თუ რითი ვცეთ პატივი განსვენებულსაო.

კრება ერთხმად დაეთანხმა ბ-ნ მაჩაბელს. არჩევანი კამისიისა შემდეგ სხდომისათვის გადასდო.

შემდეგ კრება შეუდგა 1908 წლის ანგარიშის განხილვას. თავმჯდომარემ მიმართა კრებას: ვისაც რაიმე შენიშვნა გაქვთ ანგარიშისა გამო, ბრძანეთო. თავიდან ძალიან არეული კამათი იყო ანგარიშის გამო. ზოგი ორატორი დაჟინებით ითხოვდა—მომავალში ანგარიში უბრალოდ შეადგინეთ, თორემ სპეციალისტ ბუღჰალტერის ანგარიშისა არაგვესმისრა და არ ვიცით, ციფრები რასა ნიშნავსო. ასეთ ორატორებს სხვებმა ლექციები წაუკითხეს, ანგარიში სწორედ არის და ყოველთვის ასე უნდა იყოს შედგენილი, რადგან ბუღჰალტერია უფრო მარტივად და ადვილად გვიჩვენებს შემოსავალ-გასავლის მდგომარეობას, ვიდრე უბრალოდ შედგენილი ანგარიშიო. ამ კამათმა კარგა ხანს გასტანა.

შემდეგ შეჩერდნენ ხარჯის იმ მუხლზე, რომელიც შეეხება თეატრის აშენებას. თავმჯდომარემ განმარტა: იმ ფულის შესახებ, რომელიც დაიხარჯა თეატრის ასაშენებლად, თავად-აზნაურობა ცალკე მოისმენს მოხსენებას, ეხლა კი ანგარიში დავამტკიცოთო. ბევრნი წინააღმდეგნი გახდნენ ამისა იმ მოსაზრებით, რომ თუ ანგარიშს დავამტკიცებთ, მერე რაღა მნიშვნელობა ექნება თეატრზე ლაპარაკს. ნაშუადღევის 2 საათი შესრულდა და ანგარიშის განხილვის საქმე-კი ისევ ერთ წერტილზე იყო.

ცოტა ხნით შესვენების შემდეგ სხდომა განახლდა და ისევ ანგარიშის გამო გაიმართა კამათი. ზოგმა მოითხოვა რამდენიმე დღით გადადებულიყო ანგარიშის განხილვა, გავიცნობთ და შემდეგ შეიძლება დავამტკიცოთო. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამისა. ეს უნდობლობის გამოცხადება იქნება ჩვენ მიერ არჩეულ პირებისადმი. ბოლოს კრება შეუდგა ანგარიშის კითხვას.

კამათი გაიმართა თავად-აზნაურთა მამულის შემოსავალზე. კრებამ მოითხოვა დაწვრილებითი ანგარიში იმისა, თუ რა შემოსავალი აქვს მამულებიდან თავად-აზნაურობას. კამათმა გასტანა ნაშუადღევის 4 საათამდე. შემდეგი კრება დანიშნულია დღეს **12 საათისათვის.**

# ოსმალეთი

**ოსმალეთის სომხები და რუსეთის მფარველობა.**

ამას წინად ჩვენ დაწვრილებით გვქონდა მოყვანილი „რუს. სლოვო“-ს სტამბოლელ კორესპონდენტის საუბარი სომხის პატრიარქთან იზმირლიანთან, რომელსაც ეთქვა, რომ რუსეთის მთავრობას უნდა ვსთხოვო მფარველობა ოსმალეთის სომხებისთვისო. ესეთივე ცნობა დაბეჭდილი იყო გერმანულ გაზეთებშიაც. სომხურმა გაზეთებმა გულის წყრომით უარჰყვეს ეს ცნობა და ბეჯითად განაცხადეს, რომ ეს ჭორი განგებ შეთხზეს კორესპონდენტებმაო. ეხლა „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი ბეჯითად ირწმუნება, რომ მან ზედმიწევნით სწორედ გადმოსცა თავის გაზეთს კათალიკოსის სიტყვები რუსეთის მფარველობის შესახებ.

„კასპი“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: სომხის კათალიკოსმა ერთი საათი დაჰყო პირველ მინისტრ სტოლიპინთან. მათ ითათბირეს ოსმალეთის სომხის პატრიარქის შესახებ.

რომლის გამო ექვს სომეხს ადანაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

**ჯარისა და ფლოტის ხარჯთ-აღრიცხვა.**

დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა განსაკუთრებული ხარჯთ-აღრიცხვა ჯარისა და ფლოტისთვის. ამ საქმისთვის უნდა დაიხარჯოს 6 მილიონი ოსმალური გირვანქა. ოსმალეთის მთავრობა ირაზილიისგან ყიდულობს სამს ჯავშნოსანს „დრედნოუტ“-ის ტიპისას, რომლებსაც ამ ჟამად ინგლისში აშენებენ. თუ ეს გემები ოსმალეთის ხელში ჩავარდა, მაშინ იმისი ფლოტი შავს ზღვაში ძლიერი იქნება რუსეთის შავი ზღვის ფლოტზე.

**კრიტოსის საქმე.**

იმ აზრით, რომ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ომი არ მოხდეს, ევროპის სახელმწიფოთა ჯარი, რუსეთის წინადადებით, განუსაზღვრელ ვადით დარჩება კუნძულ კრიტოსზე.

ოსმალეთის მთავრობამ საჩქაროდ დაიბარა ჯარი მცირე აზიიდან სტამბოლში. ეს ჯარი სტამბოლში დარჩება, ხოლო სტამბოლის ჯარი საბერძნეთში წავა, თუ ომი მოხდა, კრიტოსის საქმეზე.

**აბდულ-ჰამიდის განთავისუფლება უნდოდათ.**

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ სალონიკიდან: რეაქციონერები შეეცადნენ აბდულ-ჰამიდის განთავისუფლებას, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალებმა ხელი შეუშალეს; რამდენიმე აფიცერია მოკლული.

**იზეტ-ფაშა ქაირში.**

სულთან აბდულ-ჰამიდის ადიუტანტად ნამყოფს ცნობილ იზეტ-ფაშას იჯარით აუღია ქალ. ქაირის (ეგვიპტეში) მიდამოებში ერთი მდიდარი სასახლე და იქ დასახლებულა სამუდამოდ. წელიწადში 50 ათას ფრანკს აძლევს თურმე ამ სასახლეში. ეგვიპტის მთავრობა დაჰპირებია, არ გაგცემთ, ოსმალეთის ხელში არ ჩაგაგდებთო. ბოლოს დროს ოსმალეთის რეაქციამ მკვიდრი ბუდე გაიკეთა ქაირში.

იზეტ-ფაშა დიდ აგიტაციას ეწევა არაბებში და არაბეთის განცალკევებას ქადაგებს. იგი მარტო ქადაგებას არა სჯერდება და დიდ ფულსაც ჰხარჯავს არაბებისა და ბედუინების შეიარაღებაზე. კორესპონდენტები ირწმუნებიან, რომ ფოთიში არაბეთში სულ გაიძვერა იზეტ-ფაშის ბრალიაო. იზეტ-ფაშა ტომით არაბია.

**ბოლგარები ოსმალეთის ჯარში.**

გენერალისიმუსმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ მიიღო მაკედონელ ბოლგარების მეთაურები სანდანსკი და პანიცა, რომლებმაც სურვილი გამოსთქვეს: ოსმალეთის ჯარში შევალთო. ორივენი იქნებიან ოსმალეთის ჯარის ინსტრუქტორის გენერალ ფონ-დერ-ჰოლცფაშის განკარგულებაში, მათ განსაკუთრებით მიანდობენ მაკედონელ ბოლგარ ჯარისკაცების გაწრთვნას.

**ბაჟების მომატება.**

ოსმალეთის მთავრობამ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს ბაჟები მოუმატა 11-დან 15 პროცენტამდე და წინადადება მისცა სახელმწიფოებს, დასთანხმდით ამ მომატებასო. ავსტრია ჯერ კიდევ ოსმალეთთან შეთანხმების ხელის მოწერის დღეიდან დასთანხმდა ამ მომატებას. გერმანია და ინგლისიც დასთანხმდნენ, ეგაა ინგლისმა პირობად დასდვა, რომ მაკედონიაში აღებული ბაჟები წინანდებურად შეიტანონ ხოლმე განსაკუთრებულ ფონდში, რომელიც დანიშნულია მაკედონიის ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

# სპარსეთის ამბები

**„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის დეპეშა.**

ახალგაზრდა ოსმალთა „ერთობის და პროგრესის“ ცენტრალურმა კომიტეტმა დეპეშით ოფიციალურად შეატყობინა თავრიზის ენჯუმენსა, უკვე მიღებულია დადგენილება, რომ უცხოეთის ჯარები გავიდნენ ადერბეიჯანიდანო.

**რუსის ჯარი მალე წავა.**

ინგლისის კონსული თავრიზში ირწმუნება, რომ რუსის ჯარი მალე გავა [illegible] სადგებით, ოსმალეთის კონსული ბესტის მსურველი გერმანიის კონსულთან ჰგზავნის. ბესტში ჩამჯდარ სპარსელების სახლებსა და ქონებაზე გაშლილია ოსმალეთისა და გერმანიის ბაირაღები.

**ოსმალეთს ჯარი არ გაჰყავს ურმიიდან.**

სპარსეთის ელჩმა სთხოვა ოსმალეთის მთავრობას, ჯარი გაიყვანეთ ურმიიდანო. ოსმალეთის მთავრობამ უარჰყო მისი თხოვნა იმ საბუთით, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომთა უშიშროება ურმიაში საკმაოდ არაა უზრუნველყოფილიო.

**სათარ-ხანის პროტესტი.**

„რეჩ“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: „სათარ-ხანმა და ბაღირ-ხანმა თავრიზიდან დეპეშით შეატყობინეს ფრანგულ გაზ. „მატენ“-სა და „ჰუმანიტე“-ს, რომ რუსები ფეხით ჰქელვენ სპარსეთის უფლებასო. თუმცა რუსებმა არა ერთხელ აღგვითქვეს, სპარსეთის შინაგან საქმეებში არ გავერევითო, მაინც ისევ ერევიან; სხვათა შორის, ხორასანში მეტად ულიერი გუბერნატორი დაანიშვნინესო. სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი კითხულობენ, ნუ თუ ევროპა არავითარ დახმარებას არ გაუწევს იმ ხალხს, რომელსაც უღვლნაირად აწამებენო.

**რუსეთი დიდ სესხს მოუხერხებს შაჰსა.**

პეტერბურგში რუსის დიპლომატთა წრეებში ხმა გავრცელდა, რომ მალე რუსეთი დიდ სესხის აღებას მოუხერხებს სპარსეთის მთავრობას, რადგან ამ ჟამად საბოლოოდ გამოირკვა, რომ შაჰი ვერ შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, თუ მას ფული არ უშოვესო.

**რუსები თავრიზში.**

„რუსკ. სლოვო“-ს კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს რუსის ჯარის ქცევას თავრიზში. იგი სწერს, რომ პირველ ხანებში სპარსელებმა მეგობრულის თვალით შეხედეს რუსებს, მაგრამ რუსებმა მალე დაჰკარგეს ეს მეგობრობაო. ეს სულ იმის ბრალია, რომ რუსის ჯარს თავრიზში „ბრძოლა სწყურია“. რადგან ბრძოლა არსადაა, რუსებს გული მოსდით, ნერვები ეშლებათ. როცა ერთი რუსის ჯარის-კაცი ვიღაცამ დასჭრა, უველას „გული იმედი ჩაესახა“:

ა ეხლა-კი დაიწყებაო!.. გავანადგურებთ! დაიწყოს კი, თორემ...

მაგრამ არაფერიც არ დაიწყო. ყველამ მოიწყინა და გართობას მიეცა ვისაც როგორ ეგუნებებოდა:

„აი ქუჩაში მიდის სპარსელი დედაკაცი თავის მთლიანურ ტანისამოსით .. ჩვენმა ჯარის-კაცებმა ესეც გასართობ საქმედ გაიხადეს. შემოეხვევიან დედაკაცს და პირბადეში ჩაჰხედავენ:

— ეი, რად ჩამოგიფარებია?

დედაკაცს წასვლა უნდა, მაგრამ არ უშვებენ. ხარხარებენ.

— ბიჭებო, რა ბევრს ეჩიჩინებით! მოხსენ ე, ანათორა!

და აი მართლაც უჩადი კავალერი ერთ წამს ჰხდის ჩადრას სპარსელ ქალსა. ქალი წივის, კივის, ხელებს იფარებს პირისახეზე, რომ „ურუსი“ არ დაანახოს „ურუსები-კი სიცილით იხოცებიან.

— ნება გვიბოძეთ, მშვენიერო, გაგიცნოთ. მობძანდით ჩვენსა, გვესტუმრე, „ნალივკას“ მოგართმევთ“...

კორესპონდენტის აზრით, სწორედ ასეთმა გართობამ გამოიწვია სპარსელების სიძულვილი, ამას გარდა, ეს სიძულვილი გააძლიერა იმ „აუწერელმა მხნეობამ“, რომელიც გამოიჩინეს რუსებმა, როდესაც თავრიზელებს იარაღს ჰყრიდნენ.

„სპარსელი ეუბნევა რუსებს:

— თოფი ციხეში მიმაქვს ჩასაბარებლად.

— ბევრს ნუ ჰლაპარაკობ, მოიტა აქა, თორემ...

კონდახს უღერებს და ართმევენ თოფსა. ამნაირად პოლიციელებსაც-კი აჰყარეს იარაღი. ეს ხომ სრული ხუმრობა იყო. მივიდნენ პოსტზე მდგომ პოლიციელთან და ეკითხებიან:

— ეგ რა თოფი გაქვს.

საწყალი „ნაზმიე“ (პოლიციელია [illegible]) [illegible]

— ეს ხომ რუსის თოფია! [illegible]

— მთავრობამ მომცა!

— სტყუი, არამზადავ! თქვენ მთავრობას ვინ მისცემდა რუსის თოფებს! მოიტა აქა!

პოლიციელი პროტესტს აცხადებს: ჩემის უფროსების მეტს არავის აქვს უფლება იარაღი ჩამომართვასო. ერთხელ ამისათანა პროტესტისთვის პოლიციელს სილებიც უთავაზეს თურმე.

კარის კაცებმა და მით უმეტეს აფიცრებმა რასაკვირველია, ძალიან კარგად იციან, რომ თითქმის ყველა თავრიზელ პოლიციელსა და რევოლიუციონერების უმეტესობას რუსის თოფები აქვთ. ეს თოფები და მათთვის პატრონები კონტრაბანდათ შემოჰქონდათ კავკასიიდან; ენჯუმენი და თითოეული რევოლიუციონერი დიდ ფულს აძლევდნენ მათში. სამღვნიანი თოფი აქ ღირს 200 მანეთამდე...

ამას გარდა ჯარისკაცები ცუდად იქცეოდნენ ბაზარშიაც. უზალთუნისას იეიდის და მარტო ორ კაპეიკს იხდის აიღე, რასაც გაძლევ, გაძლევთ, თორემ სულად არაფერს მიიღებო! ეს კია, რომ აქაური ვაჭრები ყველაფერს საშინლად ძვირად უფასებენ რუსებს“...

წრეს გადასულ ჩარევასაც არ დაიმსახურეს თურმე რუსებმა სპარსელების სიყვარული.

**ეინუდ-დოვლე გაიქცა.**

„რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: „ეინუდ-დოვლე ჯერ არ დაბრუნებულა თავრიზში. თავრიზიდან დაბრუნებული ყაზახები ამბობენ, რომ შაჰის ჯარის უფროსი გაექცა თავის ჯარისკაცებსაო“.

**რუსის ჯარი არ გამოვა სპარსეთიდან.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „აქ საბოლოოდ გადასწყვიტეს, გენ. სნარსკის რაზმი აღარ დააბრუნონ სპარსეთიდან და სათარ-ხანის გაცემა მოითხოვონ, რადგან რუსეთის წარმომადგენლები ფიქრს ეძებენ მას, მიუხედავად იმისა, ოსმალეთის ქვეშევრდომია იგი ამ ჟამად. თუ სპარსეთისა“.

**სათარ-ხანი სტამბოლში მიდის.**

სათარ-ხანი და სპარსელ რევოლიუციონერების სხვა მეთაურები სტამბოლში მიდიან. სპარსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ცენტრი ამას იქით გადატანილ იქნება სტამბოლში.

# რუსეთი

**საერო განათლების მინისტრის გადაწყვეტილება.** გაზეთების სიტყვით საერო განათლების მინისტრს საბოლოოდ გადაუწყვეტია საშუალო სასწავლებლებში ეთიკის კურსი შემოიღოს.

**არალეგალური წიგნების სამკითხველო.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ნაფიც ვექილებს და მათ თანაშემწეებს ნაფიც ვექილთა საბჭოსთვის მიუმართავთ, საბჭოსთან დაარსეთ არალეგალურ წიგნების სამკითხველოო. ამის მოტივად ვექილებს ის მოჰყავთ, რომ პოლიტიკურ საქმეების დაცვის დროს გვჭირდება გავეცნოთ დანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთებს, სასამართლოები კი ამისთანა საბუთების გაცნობის ნებას საქმის გარჩევის წინა დღით გვაძლევს და ამ ცოტა ხანში ვერ ვასწრობთ რიგიანად გავეცნოთ საბუთებსო. (რეჩი).

**ახალი საუნივერსიტეტო წესდება.** მთავრობას განუზრახავს ახალი საუნივერსიტეტო წესდება მე 87 სტატიის ძალით გაიყვანოს ცხოვრებაში. ახალი საუნივერსიტეტო წესდება ძალაში შევა მომავალ სამოსწავლო წლიდან. (ბაკუ).

**სინოდის დადგენილება.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სინოდმა დაადგინა შეატყობინოს სახელმწიფო საბჭოს კომისიას, რომ იგი გადაჭრით უარს ამბობს დღესასწაულების შემოკლებაზე. სინოდი მარტო იმაზეა თანახმა, რომ ყველიერის დღესასწაულები შემოკლდეს“.

**მაჰმადიანების დეპუტაცია.** „რეჩის“ სიტყვით პეტერბურგში ჩასულა ყირიმის მაჰმადიანთა დეპუტაცია. დეპუტაციას მაჰმადიანთა ფრაქციის წინაშე უშუამდგომლია, სთხოვეთ საერო განათლების მინისტრს, რომ ყირიმში გახსნას სასოფლო-სამეურნეო და ტეხნიკური სასწავლებლები. ამ სასწავლებლებში სწავლება თათრულ ენაზე უნდა სწარმოებდეს. ამას გარდა დეპუტაცია შუამდგომლობს, რომ მედრესე და მეკტებე სამღვდელოების განკარგულებაში დარჩნენო.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ნოვოჩერკასკში [illegible] ხკში 1, პეტერბურგში 1, ვარშავაში 2, ომსკში 1, კიევში 2, ოდესაში 1, მოსკოვში 3, უფაში 1 კაცი.

**აგარაკები ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებისთვის.** პეტერბურგის ქალაქის სამოსწავლო კომისიამ დაიწყო შენება აგარაკებისა პეტერბურგის ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის. აგარაკები შენდება პეტერბურგის ახლო, პეტერბურგიდან სულ ერთი-ორი საათის სავალია. მთელი შენობის აგება ჯდება 40,000 მანეთი. ამ სახლში მოთავსდება 20—25 მასწავლებელი. თვითეული მასწავლებელი თვეში გადაიხდის 6—9 მანეთს.

# უცხოეთი

**სერბიის მეფის ბირჟაზე თამაში.**

ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ სერბიის მეფე პეტრე ავსტრია-სერბიის კონფლიკტის დროს თამაშობდა ბირჟაზე და ამ თამაშობით 17 მილიონი კრონი მოიგოო (11 კრონი—66 კაპ.)

გაზეთები ირონიულად დასძენენ: ამ თამაშობის დროს მთელ ქვეყნიერობას ენანებოდა მეფე პეტრე, თითონ მეფე კი თურმე იმ დროს არხეინად სთვლიდა თავის მოგებასო.

**იაპონელების დღესასწაული.**

წარსულ 15 მაისს პორტ-არტურში იაპონელებმა დიდის ამბით იდღესასწაულეს ცუსიმას ბრძოლის წლის თავი. ეს დღესასწაული მოაწყო საზღვაო მმართველობამ. ეგრედ წოდებულ „უმარილო ტბაზე“ წარმოადგინეს ფლოტების ბრძოლა.

თეთრად შეღებილი გემები წარმოადგენდნენ რუსის ფლოტს. ეს გემები ააფეთქეს და დასწვეს. ამავე თანავე დაიწვა ერთი იაპონური გემიც. ტბის გარშემო დიდძალი ხალხი იდგა. ყოველ გემის აფეთქებას ხალხი ძლიერის აღტაცებით ეგებებოდა.

საზღვაო მმართველობის პირდაპირ, ადმირალ ალექსეევის ბაღის კუთხეში, ფერად მატერიებით მორთულ კარავ ქვეშ დადგმული იყო უზარმაზარი ქანდაკება ადმირალ ტოგოსი.

საზღვაო კლუბში მეზღვაურებმა სადილი გაუმართეს აფიცრებს, მოხელეებს და ადგილობრივ მცხოვრებ იაპონელებს.

ქუჩები, დამშვენებული ლამაზ კამარებითა და ეროვნულ დროშებითა გაჭედილი: მორთულ იაპონელ კაცებითა და ქალებით, რომლებიც დღესასწაულობენ ცუსიმას წლისთავს. („რ. ს.“).

# წერილი რედ. მიმართ

1904 წლიდან ქუთაისში მოქმედებს ქურნალ-გაზეთების კანტორა. კანტორას ამ წლიდან მოსდიოდა ადგილობრივი-კავკასიური რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები და აგრეთვე უფრო გავრცელებული სატახტო ქალაქის გაზეთები. ამ ხნის განმავლობაში ყველა ჟურნალ-გაზეთის კომპლექტი მქონდა თავმოყრილი, წლიურად დაწყობილი, შეკრული და შენახული. ხოლო ტფილისის და ქუთაისის ქართული გაზეთები, გარდა თითო ეგზემპლიარისა, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკისათვის ვინახავდი, მქონდა ჟურნალ-გაზეთის ხუთ-ხუთი და ათ-ათი ცალი და ვინც მთხოვდა კომპლექტების შესავსებლად ან აქ ან სხვა ქალაქიდან, ვაწვდიდი. ბევრჯერ ტფილისის რედაქციებს გაზეთების ნომრები ჩემი კანტორიდან დაუბარებიათ. მქონდა ყველა გაზეთი „ცნობის ფურცლიდან“ მოყოლებული „დროებამდე“, „[illegible]“, „[illegible]“, „ივერია“, „ნობათი“, „ქართლი“ და სხ.: მრავალი ჟურნალ-გაზეთი.

ეს გაზეთები წლიურად დაწყობილი შენახული მქონდა კანტორასთან, ხაზინის აივანზე საგანგებოდ ამისათვის მოწყობილ შკაფში. აი ამ შკაფიდან ჩემი იქ არ ყოფნის დროს უსარგებლნიათ კანტორის მეგაზეთეს თუ მეგაზეთეებს, გაუზიდნიათ 8-12 ფუთამდე ეს გაზეთები და გაუყიდნიათ ფუთობით ვაჭრებზე, რომელთაც ეს ნაქურდალი გაზეთები ალბად, ორ-ორ მანეთად იყიდეს ფუთი. ჩემთვის და საჭიროების დროს სხვებისთვის კი ისინი არა თუ რედაქციის ფასად ღირს მთელი წლის კომპლექტები, დღეს ხუთი წლინა ფასიც რომ მისცე, ბევრს ვერც რედაქციებში იშოვნით. ამიტომ დღეს ამ გაზეთებს გაცვლით ვეძებ და, მეტი გზა რომ აღარ დამრჩენია, გაზეთის საშუალებით მივმართავ იმათ, ვინც კანტორის მეგაზეთისაგან გაზეთები იყიდა საწვავად—დამიბრუნონ და გადახდილ ფულზე მეტი მიიღონ ჩემგან.

დასასრულ, მინდა ქუთათურ მკითხველ საზოგადოების ყურადღება მივაქციო გაზეთების მემდეგ ცუდ, არა საკადრის გაზეთის საქმისათვის შეუფერებელ საქციელს. მეგაზეთეებმა შემოიღეს გასაყიდი **გაზეთების გაქირავება მცირე ფასად** და წასაკითხ გაზეთების უკან დაბრუნება ახალ გაზეთების ფასად. მივაქცევთ ამას მკითხველ საზოგადოების ყურადღებას რაც შეეხება მეგაზეთეებს, რომელნიც საქმეში იქნებიან შემჩნეულნი,—კანტორასთან დადებულ პირობის ძალით, პირველ შემთხვევისათანავე დავითხოვთ.

ქურნალ-გაზეთების კანტორის „იმერეთი“-ს გამგე. **ისიდორე კვიცარიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „დროების“ საშუალებით ზოდიში მოვიხადოთ 30 მაისს ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში დამსწრე იმ საზოგადოების წინაშე, რადგან დანიშნულ დღეს წარმოდგენა არ შედგა. მიზეზი ამის გახლდათ გამოუცხადებლობა სცენის მოყვარის ბ-ნი თოიძისა, რომელიც ორ როლში იყო გამოცხადებული (ამასთან ერთმა სცენის მოყვარემ ბ-ნმა ცხოვრებოვმა წარმოდგენის წინა დღეს განაცხადა უარი თამაშობაზე და ამიტომ მისი როლი სხვას გადაეცა) იმედია პატივცემული დამსწრე საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ჩვენთვისაც გამოუცხადებელია, რა აიძულა ბ-ნი თოიძე და არ გამოცხადდა წარმოდგენაზე დანიშნულ დღეს.

წარმოდგენის გამგე **ხრისტაფორ კუ[illegible]სრაევი.**


პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდ[illegible]

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათ[illegible] საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(წ.—1—97)

გამოვიდა და იყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში** ახალი წიგნი:

საქართველოს სიძველენი

ტომი მეორე

პალეოგრაფიულის ალბომით

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.**

**ფასი 3 მან. 50 კაპ.**

ეს წიგნი **უფასოდ დაეთმობა** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმ ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ხოლო ქალაქს გარეთ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. (10—8)

სურამში

[illegible]

(10—271—8)